# ლელო

№ 46
(11 195)

13 – 16 ივნისი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## საფრანგეთი – სამხ. აფრიკა 3-0
## საუდის არაბეთი – დანია 0-1
## პარაგვაი – ბულგარეთი 0-0

დანია – საუდ. არაბეთი



იხ. მე-2 გვ

რაგბი ● მსოფლიო თასი

## წილისყრა შედგა

კარდიფი (უელსი). გუშინ, 12 ივნისს აქ გაიმართა რაგბიში მსოფლიო თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირის მეორე ეტაპის წილისყრა. ცხადია, ამ ეტაპზე მხოლოდ უძლიერესებმა მოიპოვეს თასისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება და, სასიხარულოა, რომ მათ შორისაა საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელმაც როგორც იცით, 20 მაისს შინ სძლია რუსეთის ნაკრებს და ქვეჯგუფში იტალიელების (12 ქულა) შემდეგ, 10 ქულით, დაიკავეს მეორე ადგილი, რაც სრულიად საკმარისი იყო მეორე ეტაპზე გასასვლელად. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ნაკრები 6 ქულით მხოლოდ ბოლოსწინა IV ადგილს დასჯერდა. მეორე ეტაპისთვის სამი ჯგუფი შეიქმნება 3-3 გუნდით. ჯგუფში I-II ადგილზე გასულებს სადარდებელი არაფერი ექნებათ, თუმცა არც III ადგილზე მყოფნი დარჩებიან მთლად განწირულნი. სამი „აუტსაიდერი“ კიდევ ოთხ გუნდთან ერთად სხვა ზონიდან ორი დარჩენილი საგზურისთვის შეერკინებიან ერთმანეთს. მოკლედ, ბევრი რამ დამოკიდებული იყო გუშინდელ წილისყრაზე, რომლის ჩატარებამდე მხოლოდ ერთი რამ იყო ცნობილი. პირველ კალათაში განთავსდნენ (სიძლიერის მიხედვით) ინგლისის, შოტლანდიისა და ირლანდიის, მეორეში – იტალიის, რუმინეთისა და ესპანეთის, მესამეში – საქართველოს, პორტუგალიისა და ჰოლანდიის გუნდები.

წილისყრამ მეტოქე გუნდები ასე დააწყვილა:

I ჯგუფი: ინგლისი, იტალია, ჰოლანდია;

II ჯგუფი: ირლანდია, რუმინეთი, საქართველო;

III ჯგუფი: შოტლანდია, ესპანეთი, პორტუგალია.

მატჩები გაიმართება ამ შემოდგომით, 14-დან 22 ნოემბრამდე ჯგუფებში პირველად დასახელებულ ქვეყნებში.

გუშინ საღამოს, „ლელო“ დაუკავშირდა სახელოვან ვეტერან მორაგბეს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელს *დავით კილასონიას* და კენჭისყრის შედეგების კომენტარი სთხოვა: „საშუალო ჯგუფია, უკეთესიც შეიძლებოდა და, რასაკვირველია, უარესიც. პირადად მე III ჯგუფი მერჩივნა – ესპანეთთან უფრო იოლია ჭიდილი, ვიდრე, ვთქვათ, რუმინელებთან. ირლანდიელებს ქართველი ბორჯღალოსნები არასოდეს შეხვედრიან, ხოლო რუმინელებს, გახსოვთ ორი ამხანაგური მატჩი ვეთამაშეთ ჩვენს ქვეყანაში – ერთი მოვიგეთ, ერთშიც დავმარცხდით. მოკლედ, თუ ნაკრებს სათანადოდ მოვამზადებთ, შეიძლება მეორე ადგილისათვის ვიბრძოლოთ. შანსებს 50-50-ზე შევაფასებდი“ – თქვა დავით კილასონიამ.

## კალათბურთელებიც გზას გაუდგნენ

ევროპის თასზე მონაწილეობისათვის გუშინ ბუდაპეშტში გაემგზავრა საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები. ევროპის ქვეყნების 8 საკლუბო გუნდი წრიული სისტემით შეხვდებიან ერთმანეთს.

## სპორტული სამყარო – ბალიდან გამოქცევულებს!

მთელი საქართველოს ყურადღება ახლა ზუგდიდისკენაა მიპყრობილი, სადაც მაისის მოვლენების დროს გალიდან იძულებით გამოდევნილი ათი ათასობით ადამიანია დაბანაკებული. ჩვენმა სპორტულმა სამყარომ, ისე როგორც ყველამ, გულთან ახლოს მიიტანა თანამემამულეთა გასაჭირი და გუშინ დილით, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმლით და საყოფაცხოვრებო საგნებით დატვირთული „იკარუსი“ გააგზავნა ზუგდიდში.

## მსოფლიო XVI ჩემპიონატი ფეხბურთში

მატჩი №7. „სტად ველოდრომი“. 60 000 მაყურებელი.

### საფრანგეთი – სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 3-0

*საფრანგეთი:* ბარტეზი, ლიზარაზუ, ბლანი, დესაი, ტურამი, დეშამპი, პეტი (ბოგოსიანი, 75), ზიდანი, ჟორკაეფი (ტრეზეგე, 40), ანრი, გივარში (დუგარი, 29).

*სამხრეთ აფრიკა:* ვონკი, მნგუნი, ნიატი, ჯეკსონი, ფიში, ფორტუნი, რადებე, ისა, ავგუსტინი, მასინგა, მაკართი.

*გოლი:* დიუგარი (40), ისა (78, ავტოგოლი) ანრი (80).

გააფრთხილეს: პეტი, დეშამპი, ზიდანი.

იხ. მე-2 გვ

| № | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ბრაზილია | | 2-1 | | | | |
| 2. | შოტლანდია | 1-2 | | | | | |
| 3. | მაროკო | | | | 2-2 | | |
| 4. | ნორვეგია | | | 2-2 | | | |

| № | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | იტალია | | 2-2 | | | | |
| 2. | ჩილე | 2-2 | | | | | |
| 3. | კამერუნი | | | | 1-1 | | |
| 4. | ავსტრია | | | 1-1 | | | |

| № | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | საფრანგეთი | | 3-0 | | | | |
| 2. | სამხ. აფრიკა | 0-3 | | | | | |
| 3. | საუდ. არაბეთი | | | | 0-1 | | |
| 4. | დანია | | | 1-0 | | | |

| № | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | ესპანეთი | | | | | | |
| 2. | ნიგერია | | | | | | |
| 3. | პარაგვაი | | | | 0-0 | | |
| 4. | ბულგარეთი | | | 0-0 | | | |

## ჩვენი მეტოქე 6 ივლისს გაირკვევა

თუ არ ჩავთვლით ინტერტოტოს თასის გათამაშებაში მონაწილე გუნდებს, სარეკორდო რაოდენობა — 193 აიღებს სტარტს 1998/99 წლის ევროპის სამივე საკლუბო ტურნირებში (ჩემპიონთა ლიგა, თასების თასი, უეფას თასი). მათი კენჭისყრა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე 6 დღით ადრე, 6 ივლისს მოეწყობა ჟენევაში.

როგორც ცნობილია, ჩემპიონთა თასზე გამოვა თბილისის „დინამო“, თასების თასზე — ბათუმის „დინამო“, ხოლო უეფას თასზე — ფოთის „კოლხეთი-1913“.

ამ დღეებში უეფას საშეჯიბრო კომიტეტის სხდომაზე დადგენილი წესისამებრ, განთესეს ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდები. წინასწარი ეტაპის გაუვლელად ამ შეჯიბრებაში დაშვებულნი არიან ლიგის წინა გათამაშებაში გამარჯვებული მადრიდის „რეალი“ და უმაღლესი რეიტინგის მქონე კიდევ 7 კლუბი — „იუვენტუსი“, „კაიზერსლაუტერნი“, „ლანსი“, „აიაქსი“, „არსენალი“, „პორტუ“ და „ბარსელონა“. საყურადღებოა, რომ ამ გათამაშებაში ესპანეთი სამი კლუბით — „რეალისა“ და „ბარსელონას“ გარდა ჩემპიონთა ლიგაში ბილბაოს „ატლეტიკო“ ეყოლება, თუმცა ბასკური გუნდი, სხვა ძლიერი კოლექტივების მსგავსად, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ითამაშებს.

წელს უეფას თასის გათამაშებაში 104 გუნდი ჩაებმება. ამ ტურნირის, ისევე როგორც ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ექტაპის შეხვედრები 22 და 29 ივლისისთვისაა დანიშნული.

ამრიგად, თბილისის „დინამო“ და ფოთის „კოლხეთი-1913“ ევროტურნირის მატჩებს ივლისის ბოლო კვირას გამართავენ, ხოლო ბათუმის „დინამო“ თასების თასზე პირველ მატჩს — 13 აგვისტოს.

## მილოცვები, დაჯილდოება

თანაგუნდელი ვეტერანი ფეხბურთელები დაბადებიდან 50 წლისთავს ულოცავენ ბათუმის „დინამოს“ ყოფილ ფეხბურთელს, მეგობრებისა და გულშემატკივრებისათვის საყვარელ პიროვნებას, გუნდებისა და ცალკეული ფეხბურთელების შემწეს და ქველმოქმედს *რამაზ მარგალიტაძეს.*

* * *

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავს ქართული სპორტის ღვაწლმოსილ ვეტერანს, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საქართველოს ვეტერან სპორტსმენთა კავშირის თავმჯდომარეს *ოთარ დიდებულიძეს.*

* * *

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაბადებიდან 85 წლისთავთან დაკავშირებით საპატიო სიგელით დააჯილდოვა *ოთარ დიდებულიძე.*

## ყურადღება!

წლეულს საერთაშორისო ოლიმპიური დღე 21 ივნისს აღინიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით, 21 ივნისს, თბილისში მოეწყობა ტრადიციული მძლეოსნური გარბენი მარშრუტით:

*1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია — თავისუფლების* მოედანი (მოზრდილებისთვის);

*2. რუსთაველის მოედანი — თავისუფლების მოედანი* (12 წლის ასაკის ჩათვლით, აგრეთვე ინვალიდებისა და ოჯახებისათვის).

გარბენში მონაწილეობის მსურველებმა წინასწარ განაცხადი უნდა წარმოადგინონ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში (დ. აღმაშენებლის, 65) 20 ივნისამდე.

# მსოფლიოს XVI ჩემპიონატი ფეხბურთში



— ვიწყებთ რეპორტაჟს საფრანგეთიდან



იტალია — ჩილე



კამერუნი — ავსტრია

*(პირველი გვერდიდან)*

პირველ მატჩში ფრანგებს განსაკუთრებულად მწველი სურვილი ამოძრავებდათ თავი მოეწონებინათ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე. მათმა თავკაცმა ემე ჟაკემაც აშკარად შემტევი ტაქტიკა აირჩია – ცენტრფორვარდ გივარშს ფლანგებიდან ჟორკაეფი და ანრი მიაშველა, რომლებიც წმინდა წყლის შემქმნელები არიან. ლიზარაზუ და ტურამიც ხშირად ერთვებოდნენ შეტევაში ფლანგებიდან, ხოლო მთელ ამ ფრანგულ შემტევ პოტენციალს ბრწყინვალედ დირიჟორობდა ზინედინ ზიდანი. მაგრამ ბაფანა-ბაფანა ვერც ფრანგმა გულშემატკივარმა და ვერც ავტორიტეტებმა ვერ შეაშინეს – აფრიკელები თამამად, უკომპლექსოდ ირჯებოდნენ. მათი ფორვარდები მასინგა და მაკართი ბევრს მოძრაობდნენ, აქტიურობდნენ, ფრანგ მცველებს მოსვენებას არ აძლევდნენ, თუმცა რეალურ საფრთხეს ვერ ქმნიდნენ ბარტეზის კართან – მარსელ დესაი ფრანგულ დაცვას ხარისხიანად ადუღაბებდა. როცა მეტად აქტიური გივარშის ტრავმის შედეგად მინდორზე დიუგარი შემოვიდა, მყისვე მიეცა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ზიდანის ბრწყინვალე პასი ვონკის კარგი თამაშის გამო გოლად ვერ აქცია. თუმცა სულ მალე დიუგარიმ დაუფასა გარჯა ზიდანს, რომლის ჩამოწოდებული კუთხურისას ვონკსა და ფიშთან „მეორე სართულზე" ბრძოლაში იმარჯვა. ტაიმის ბოლო წამებზე ბაფანა-ბაფანას შეეძლო ანგარიშის გაქვითვა, მაგრამ ნიატის მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს ისამ ისე დაუხვედრა თავი, რომ ბარტეზის კარს ახლო მანძილიდან ააცილა.

მეორე ტაიმში ფრანკთა ტერიტორიული უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. ისინი სწრაფი ტემპის შენარჩუნებას ცდილობდნენ, მეტად აგრესიულად მოქმედებდნენ. მაგრამ მიუხედავად დიდი ენერგიის დახარჯვისა, ფრანგები სახიფათო მომენტებს ვერ ქმნიდნენ – სამხრეთ აფრიკა ფიზიკაში ტოლს არ უდებდა ჩემპიონატის მასპინძლებს. თუმცა ფრანგები იმას ნაღდად ახერხებდნენ, რომ მეტოქე წონასწორობის აღდგენაზე უფრო გოლის არგაშვებაზე ზრუნავდა. მაგრამ აფრიკელებმა ესეც ვერ შეძლეს – ლიზარაზუს ჩამოწოდებულ აუტის შედეგად დიუგარიმ ჟორკაეფს დაუგორა ბურთი, რომელმაც 6-7 მეტრიდან დაურტყა ვონკს და... მეკარეს დახმარება ისამ სცადა, თუმცა გარჯა ავტოგოლად აქცია. ფრანგები არ დაოკდნენ, ანგარიშის გასამებას შეეცადნენ, განსაკუთრებით გააქტიურდა ანრი შეტევის მარჯვენა ფლანგზე და სწორედ მან ზედმიწევნით ინდივიდუალური ოსტატობის შედეგად კიდევ ერთხელ გაახარა „სტად ველოდრომზე" მყოფნი.

## კვიმატი ობიექტივი



PLAY FAIR!



რონალდო



საუდის არაბეთი — დანია

**მატჩი №6. ლანსი. „ფელიქს-ბოლა". 42 000 მაყურებელი**

**საუდის არაბეთი — დანია 0–1 (0–0)**

*საუდის არაბეთი:* ალ დეია, ალ ჯაჰანი, ალ ხილაივი, ზუბრომავი, ამინი (ალ დოსარი, 82), ალ შაჰრანი, ალ ჯაბარი, ალ ოვაირანი, სულმანი (ალ ტინიანი, 85), მუვალიდი, ოვაირანი.

*დანია:* შმაიხელი, შიონბერგი, რიპერი, ჰოგი, ჰელვეგი, მიქაელ ლაუდრუპი, ბრაიან ლაუდრუპი (ჰაინცე, 84), კოლდინგი, ვიგჰორსტი (ნილსენი, 60), სანდი, იორგენსენი (ფრანცენი, 75).

*გოლები:* რიპერი (68)

*გააფრთხილეს:* მუვალიდი, ვიგჰორსტი, რიპერი, ნილსენი.

პირველი ტაიმის დასასრულამდე სამი წუთით ადრე დანიელთა სახელგანთქმული მეკარე პიტერ შმაიხელი ფაქტობრივად პირველად ჩაება საქმეში, მოიგერია რა კუთხურზე საიდ ალ ოვაირანის სახიფათო საჯარიმო დარტყმა. მანამდე კი ცალკარა თამაში გაჩაღდა – დანიელები მთელი გუნდით უტევდნენ, ხოლო საუდელები ეშელონირებული დაცვით ყველანაირად ცდილობდნენ სკანდინაველთა ძმების ლაუდრუპების, ეპ სანდისა და მათი თანაგუნდელების ენთუზიაზმის ჩაქრობას. და აი, ტაიმის ბოლოს არაბები გააქტიურდნენ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს სკანდინაველებმა უპირატესობა დათმეს და თამაშში გარდატეხა მოხდა (ამ წუთებში ამერიკის მსოფლიო ჩემპიონატზე მომხდარი ამბავი გაგვახსენდა – საუდელებმა რამდენიმე შეხვედრა წარმატებით ჩაატარეს, რისთვისაც ქვეყნის მმართველმა, მეფე ფაჰდიმ თითოეული ფეხბურთელი 100 ათასი დოლარით და ცინცხალი „მერსედესით" დააჯილდოვა. ვიფიქრეთ, ახლაც ხომ არ შეუთვალა ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებულმა ფაჰდიმ – მოდით, ბიჭებო, მოიგეთ, „მალარიჩი" იქნებაო). მაგრამ დაიწყო მეორე ტაიმი და ყველაფერი განმეორდა – ძირითადში დანიელები უტევდნენ, ხოლო სამხრეთელები ეპიზოდურად თუ აწუხებდნენ შმაიხელს.

ტაიმის შუაგულში მოსახდენი მოხდა – დანიელებმა უპირატესობა გოლად აქციეს: სელტიკელმა მცველმა მარკ რიპერმა, რომელსაც აქამდე ნაკრებში ჩატარებულ 53 მატჩში მხოლოდ ერთხელ ჰქონდა დალაშქრული მეტოქის კარი, ალბათ, თავის სპორტულ კარიერაში ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი შეაგდო. ეს ასე მოხდა: საუდელებმა მორიგი ხელოვნური თამაშგარეშე მდგომარეობის შექმნა განიზრახეს, მაგრამ მცველი ალ ხილაივი „ჩარჩა", ამოსვლა ვერ მოასწრო. ბურთი მარჯვენა ფრთაზე ბრაიან ლაუდრუპს მიუვიდა. ვირტუოზმა ფორვარდმა მყისვე შეაფასა სიტუაცია და მაღალი, გამოზომილი გადაცემა შეასრულა შეტევაში ჩართულ რიპერის მისამართით. მარკმა მაღალ ნახტომში ლამაზი ბურთი მოათავსა ალ დეიას კარში.

ეს იყო და ეს. დანიელებს მაინცდამაინც თავი აღარ მოუკლავთ მეორე გოლის გასატანად, ხოლო საუდელებს ანგარიშის გასათანაბრებლად ოსტატობა და ძალები არ ეყოთ.

**მატჩის შემდეგ**

**კარლოს ალბერტო პარეირა (საუდის არაბეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „დანიელებმა აშკარად გვაჯობეს და ნამდვილად საცოდაობა იქნებოდა გამარჯვება არ მოეპოვებინათ. მარცხის მიუხედავად ყველაფერი დაკარგული არ არის. შევეცდებით საჭირო დასკვნები გამოვიტანოთ."

**ბო იოჰანსონი (დანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ჩვენს გუნდს 5-6 გოლი მაინც უნდა გაეტანა. დღეს ამხელა უპირტესობის გამოუყენებლობა დოყლაპიობის ტოლია. მადლობელი ვარ ძმები ლაუდრუპების, ბრაიანმა ფანტასტიურად ითამაშა, მიქაელს კი ცოტა დაღლა დაეტყო. კმაყოფილი ვარ მცველ მიჰაელ შიონბერგის თამაშით – იგი ყველგან ასწრებდა. აი ასე თავდადებით უნდა ითამაშოს ყველამ, მაშინ მიზანსაც მივაღწევთ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს XVI ჩემპიონატი ფეხბურთში

FRANCE 98
COUPE DU MONDE

**მატჩი №5. მონპელიე „მოსონი“. 35.000 მაყურებელი.**

**პარაგვაი — ბულგარეთი 0–0**

***პარაგვაი:*** **ჩილავერტი, გამარა, აია ლა, კარდოსო (რამირესი 70), აკუნია, სარებია, პარედესი, ბენიტესი, ენსისო (ეგროსი 77), მორალესი (კანისა 43), კამპოსი.**

***ბულგარეთი:*** **ზდრავკოვი, კიშიშევი, ივანოვი, იორდანოვი, პეტკოვი, იანკოვი, სტოიჩკოვი, ცენევი (კოსტადინოვი 67), ბალაკოვი, ილიევი (ბორიმიროვი 77), ნანკოვი.**

***გააფრთხილეს:*** **სტოიჩკოვი, ივანოვი, ბენიტესი, ნანკოვი. გააძევეს: ნანკოვი**

***მსაჯი:*** **აბდულ რახმან ალ ზეიდი (საუდის არაბეთი).**

„სიკვდილის ჯგუფში“, როგორც ფეხბურთის სპეციალისტები „D“ ჯგუფს უწოდებენ, მართლაც, რომ დაძაბული სიტუაცია სუფევს. გამორჩეული ლიდერის პოზიცია გამოკვეთილად არც ერთ გუნდს არ გააჩნია. ამიტომ პროგნოზირება იმ ორი გუნდისა, რომლებიც მერვედფინალში გავლენ, ძალზე ძნელია. ბულგარეთი-პარაგვაის მატჩით გაიხსნა ამ ჯგფის შეხვედრები. ორივე გუნდი, განსაკუთრებით კი ბულგარეთი, ასაკით თუ ვიმსჯელებთ, ხანდაზმულია — საშუალო ასაკი 29 წელს აღწევს, მიუხედავად ამისა, ორივე მათგანმა ფიზიკური კონდიციების თვალსაზრისით, ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვა. სწრაფი იყო სათამაშო ტემპი, ამასობაში ნელ-ნელა ბულგარელთა უპირტესობაც გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ მათმა თავკაცმა, 51 წლის ხრისტო ბონევმა, რომელიც რეკორდსმენია ბულგარეთის ნაკრებში გატანილი გოლებით, ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა ემილ კოსტადინოვი, რითაც სპეციალისტთა გაკვირვება გამოიწვია. მან მატჩის დაწყებამდე ივარაუდა, რომ „თამაში დაძაბულად, სწრაფ ტემპში, უხეშად წარიმართება, ფეხბურთელებმა შეიძლება მძიმე ტრავმებიც მიიღონო“. რის საფუძველზე გააკეთა ამდაგვარი განცხადება, ნამდვილად ძნელი სათქმელია, ერთი რამ კი ცხადია, მან სავსებით სწორად შეაფასა შეხვედრის მსვლელობა, პირველ ნახევარში მართლაც უხეშობის ზღვარზე მიმდინარეობდა მატჩი. ნათქვამის დასტურად ის ყვითელი ბარათებიც კმარა არბიტრმა, რომ „ჩამოურიგა“ მეტოქეებს. ხშირი იყო მომენტები, როცა, განსაკუთრებით კი ევროპელების მხრიდან, დაშავებული ფეხბურთელები საკაცით გაიყვანეს მინდვრიდან. სლავთა ერთ-ერთმა ლიდერმა კრასიმირ ბლაკოვმა ტრავმაც მიიღო და თავშეხვეულმა განაგრძო თამაში.

პირველი სახიფათო მომენტი სტოიჩკოვმა შექმნა, მარჯვენა ფრთიდან ჩამოწოდებულ ბურთს თავი დაუხვედრა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა.

ტაიმის მიწურულს ბულგარელებმა მოწინააღმდეგე თავის კართან მიაჯაჭვეს და ცდილობდნენ საწადელისთვის მიეღწიათ, მაგრამ მთელი გუნდი დაცვაში აქტიურად მოქმედებდა. ბულგარელთა კოზირი პირველ ტაიმში კუთხურები იყო. 7-ჯერ კი მოაწოდეს (ბალაკოვი), მაგრამ თავით სუსტად თამაშობდნენ და მეტოქის კარს გასაღები ვერ მოარგეს. მეორე ნახევარში აგრესიულობა და ჟინი უფრო გამოიკვეთა. ეს განსაკუთრებით პარაგვაელებზე ითქმის. შეხვედრის მე-60 წუთიდან მათ არათუ გაათანაბრეს, უპირატესობასაც მიაღწიეს რიგ სათამაშო კომპონენტში. ჩანდა, მწვრთნელმა ტაქტიკური ცვლილებები მოახდინა, რამაც შედეგი გამოიღო და საგოლე მომენტებიც იქმნებოდა. განსაკუთრებით აქტიურობდა „ესპანიოლის“ შემტევი ნახევარმცველი ბენიტესი. მან

იხ. მე-4 გვ



ბულგარეთი-პარაგვაი



ბულგარეთი-პარაგვაი

## არც ბრაზილია, არც იტალია, მაშ ვინ?

**საფეხბურთო სამყაროში საკმაოდ ცნობილი ფიგურაა 49 წლის ფრანსისკო მატურანა. წლების მანძილზე იგი იყო სამხრეთამერიკული კლუბების „ატლეტიკო ნასიონალის“, „ატლეტიკო ბუკარამანგას“, „დეპორტეს ტოლიმას“, და ბოლოს კოლუმბიის ეროვნული ნაკრების ცენტრალური მცველი. სამწვრთნელო კარიერა გაატარა კოლუმბიურ და ესპანურ („რეალვალიადოლიდი“, „ატლეტიკო მადრიდი“) კლუბებში, სათავეში ედგა კოლუმბიისა და ეკვადორის ეროვნულ ნაკრებებს. საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე კომენტატორად მიავლინა ცნობილმა კოლუმბიურმა ტელეარხმა „ბოგოტა-1“-მა.**

**აი, როგორ შეაფასა მან მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ორი დღის შედეგები:**





„ბევრმა შეიძლება მოულოდნელად მიიჩნიოს ბრაზილიელთა ერთგვარად ფრთხილი, გაუბედავი პირველი ნაბიჯი. სქოთებს მეტი ფხა რომ გამოეჩინათ და პატარა იღბალიც დახმარებოდათ, ფრეს მაინც მიაღწევდნენ. მაინც რაშია საქმე, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა რატომ ვერაფრით ვერ დაგვამახსოვრეს თავი? ეს შეკითხვა დავუსვი ბრაზილიის ნაკრების ექს- მწვრთნელს, ამჟამად საუდის არაბეთის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელს კარლოს ალბერტო პარეირას: „ბრწყინვალედ მესმის ზაგალოსი — ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელობა იოლი საქმე არაა, ამდენი ოპონენტი, ალბათ, მსოფლიოში არც ერთ მწვრთნელს არა ჰყავს. ყველანი, ფეხბურთის ჩინოსანი იქნება ეს, სპორტული ჟურნალისტი თუ დიასახლისიც კი, ცდილობს საკუთარი აზრი მოგახვიოს, „მისი“ შემადგენლობა დააყენო. ეს კოშმარია! სწორედ ამიტომ, მსოფლიო თასი-94-ის მოპოვებისთანავე ვარჩიე გადადგომა. ზაგალომ კარგად დაიწყო, მაგრამ თანდათან ზოგიერთ ვარსკვლავთან კონფლიქტი მოუვიდა. ბოლო მაგალითი რომარიოა, მისი საფრანგეთში არწაყვანას, ტორსიდა არასოდეს აპატიებს მწვრთნელს. ვფიქრობ, მარიოს უნდა შეესმინა გულშემატკივრებისა — რომარიო, თუნდაც ტრავმირებული და ავადმყოფი გუნდში აუცილებელი იყო“. აი, ასე ფიქრობს ბრაზილიის ნაკრების ექს-მწვრთნელი და მას მთლიანად ვუჭერ მხარს.

გულშემატკივარი იკითხავს, მაშ რონალდო? ნუთუ მას არ ძალუძს გადაჭრას შეტევის პრობლემები? კი, ბატონო, რონალდო დიდი ძალაა, მაგრამ მის ტალანტს გამოყენება უნდა, ამოცანა იმაშია, ვინ მოამარაგებს დღეს მას სახიფათო გადაცემებით? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაიჭრა ეს ამოცანა, ბრაზილიას შეუძლია ოცნებოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მეხუთედ მოპოვებაზე.

შოტლანდიელებს აღარ შევეხები. მათ პირველივე შეხვედრაში თავისი ძალების მაქსიმუმი გვიჩვენეს, მეტს ისინი ველარ მოუმატებენ. „A“ ჯგუფში მეორე ადგილის დაკავების ერთნაირი შანსი აქვთ ნორვეგიელებს და მაროკოელებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფრიკელთა სწრაფადპროგრესული ოსტატობა.

ბრაზილიას მაროკოს წინააღმდეგ ძალიან გაუჭირდება, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა!

„B“ ჯგუფში სიძლიერით ერთი დონის გუნდებმა მოიყარა თავი, მაგრამ მაინც გამოვყოფ ჩილელებს. ასეთი თავდამსხმელებით, როგორებიცაა სამორანო და სალასი, ნებისმიერი გუნდი დიდ მიზნებს დაისახავს. იტალიელების წინააღმდეგ სამხრეთამერიკელები გამარჯვებას იმსახურებდნენ. რომ არა ცბიერი რობერტი ბაჯო, იტალიელთა შანსები, გასულიყვნენ ჯგუფიდან ძალიან დაბალი იქნებოდა. ბაჯომ ჩეზარე მალდინის რენომე შეუნარჩუნა, მაგრამ ამთავითვე ნათელია, რომ „სკუადრა აძურა“ ამ მონდიალზე ის გუნდი არაა, რომელსაც მაღალი მიზნების მიღწევა შეეძლოს“.

ფრანსისკო მატურანა
ჟურნალი „გლობო“,
12 ივნისი 1998

## საფრანგეთში ჯერჯერობით დოპინგ-სკანდალი არ მომხდარა

სასტიკი რამეა ეს დოპინგ-კონტროლი. წინა მონდიალზე, გახსოვთ, მან თვით სახელგანთქმულ დიეგო მარადონას აუნთო წითელი შუქი. ამიტომაა ფეხბურთის მოყვარულები გაფაციცებით ელოდნენ პირველი დღეების ტესტების შედეგებს.

10, 11 ივნისს ჩატარებულ 4 მატჩში ერთბაშად 16 ფეხბურთელს (თითო გუნდიდან ორ-ორს) ჩაუტარდა დოპინგ-კონტროლი. ფიფას წარმომადგენლის კეით კუპერის განცხადებით, საბედნიეროდ, ტესტის პასუხები უარყოფითი აღმოჩნდა. მაინც ვინ გაიარა შემოწმება? ესენია, ბრაზილიელები ტაფარელი, გონკალვეში, შოტლანდიელები კოლინ ჰენდრი, სკოტ ბუთი, მაროკოელები აბდერაჰიმ უაკილი და სალაჰედინ ბასირი, ნორვეგიელები ოივინდ ლეონარდსენი და სტალე სოლბაკენი, კამერუნელები ფრანსუა ომამ ბიიკი და პატრიკ მბომა, ავსტრიელები ჰარალდ ჩერნი და ანდრეას ჰერცოგი, იტალიელები დინო ბაჯო და ანჯელო დი ლივიო, ჩილელები კლარენს აკუნია და ფაბიენ ესტეი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს XVI ჩემპიონატი ფეხბურთში

(მესამე გვერდიდან)

რამდენჯერმე სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ 27 წლის ბულგარელი გოლკიპერი ზდრავკო ზდრავკოვი მოწოდების სიმაღლეზე იყო (ეს მისი მე-13 შეხვედრა გახლდათ ნაკრებში). ბულგარელ ფეხბურთელებს დაღლილობა დაეტყოთ, მწვრთნელმა „კომპოსტელაში" მოთამაშე თავდამსხმელი – ლობო პენევი, გამოცდილი ემილ კოსტადინოვით შეცვალა, მაგრამ ვერც ამან გამოაცოცხლა გუნდი. ბულგარელთაგან ხრისტო სტოიჩკოვმა, მიუხედავად ასაკისა, გამოცდილების წყალობით რამდენიმე ზუსტი საგოლე მომენტები შექმნა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო, როცა მან ივანოვის პასით მიღებული ბურთი ერთი მოძრაობით გააჩერა, მოატყუა მცველი და მეურვის გარეშე დარჩენილ ილიევს გადააწოდა, ამ უკანასკნელმა კი კარს ააცილა. სტოიჩკოვი, როგორც ყოველთვის, ამ შეხვედრაშიც უკმაყოფილო იყო მსაჯის გადაწყვეტილებებით, ხშირად ედავებოდა, ეტყობოდა არბიტრმაც კარგად იცოდა მისი შინაგანი, კონფლიქტური ბუნება, მძიმე ხასიათი და ფეხბურთელის გაუთავებელ შენიშვნებზე თუ ჟესტებზე ღიმილით რეაგირებდა, ცდილობდა განემუხტა დაძაბული სიტუაცია. თუმცა, ყვითელი ბარათი სლავთა ლიდერს მაინც „უსახსოვრა".

შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთით ადრე, ბულგარელთა ბანაკში, პანიკამ დაისადგურა, მოწინააღმდეგემ კი ამით ისარგებლა და სრულ უპირატესობას დაეუფლა. თუმცა რეალური საგოლე მომენტი მაინც ვერ შექმნა. ისე, მეტოქეთა დაცვის ხაზი უფრო ძლიერად გამოიყურებოდა, ვიდრე თავდასხმისა. თამაშის დაწყებამდე პარაგვაელთა კარის დარაჯი თურმე იქადნებოდა – ბულგარელებს გავამწარებო, მაგრამ სიტყვის კაცი არ გამოდგა. ერთი



ჩილავერტი



მატჩის მომენტი

სიტყვით, ეს შეხვედრა ამ ჩემპიონატზე მანამდე ჩატარებული მატჩებიდან ყველაზე უინტერესო გამოდგა.

**მატჩი №4. ტულუზა. „სტად მუნისიპალი". 37.000 მაყურებელი**
**კამერუნი – ავსტრია 1–1 (0–0)**

*კამერუნი:* სონგო, სონგი, კალა, ვომე, სიმო (ოლემბა, 65), ნ. ჯანკა, ნდო, იპუა (ჟობი, 65), ანგიბედო, ომამ ბიიკი (ჩამი, 84), მბომა.
*ავსტრია:* კონსელი, ფიაერზინგერი, პფეფერი, შოტელი, პფაიფენბერგერი (შტიოგერი, 85), შოტელი, მაილიხი, ჩერნი (ჰაარი, 83), ვატლი, ჰერცოგი (ვასტიჩი 83), კუხბაუერი, პოლსტერი.
*გოლები:* 1-0 ნჯანკა (77), 1-1 პოლსტერი (90)
*გააფრთხილეს:* პფეფერი, იპუა
*მსაჯი:* ე. ჩავესი (პარაგვაი).

თამაში სანახაობრივი თვალსაზრისით ვერ გამოდგა, საგოლე მომენტების რაოდენობის ნაკლებობის მიუხედავად, დაძაბულობა არ აკლდა. შეხვედრის ბედიც მსაჯის მიერ დამატებულ დროში გამოირკვა. არადა, მეოთხე შეხვედრაც მისი წინამორბედ სამი მატჩის მსგავსად ფრედ დამთავრდა. „ბ" ჯგუფში სიტუაცია კი აირდაირია. ოთხივე გუნდს თითო ქულა აქვს, ასე რომ, გამოკვეთილი ლიდერი ამ ჯგუფში ჯერჯერობით არ ჩანს. დაველოდოთ შემდგომ შეხვედრებს, გაამართლებს პელეს პროგნოზი: „ბ" ჯგუფიდან იტალია, ჩილე მერვედფინალში გავლენო, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს".

ახლა თამაშს დავუბრუნდეთ და მისი პერიპეტიები გავიხსენოთ. კამერუნის გუნდი, მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე ახალგაზრდა კოლექტივია, საშუალო ასაკი 24 წელია. ასე რომ, ხანდაზმულ ავსტრიელებს, რომელთა შემადგენლობაში მხოლოდ ორი ფეხბურთელი გახლავთ 24 წლის, უმრავლესობა კი 30 წელს გადაცილებულია, და კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული მეტოქის ფიზიკური კონდიციები და თამაშის სწრაფი ტემპი. ევროპელები ცდილობდნენ ტემპის დაგდებას და ბურთის ფლანგებიდან ჩამოწოდებას, ალბათ „მეორე სართულზე" თამაშის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ეს ვითომ და კოზირის გამოყენების საშუალება მეტოქემ არ მისცა, რადგან კამერუნელები სიმაღლით აშკარად ჯაბნიდნენ მეტოქეს. პირველ ნახევარში მათი ტერიტორიული უპირატესობა იგრძნობოდა, ისინი ცდილობდნენ ცენტრში „გაბატონებას" და სწრაფი პასებით ავსტრიელთა „დამცავი კედლის" გარღვევას. მაგრამ ისეთი გამოცდილი უკანახაზელები, როგორიც ფაიერზინგერი და პფეფერი გახლდათ, მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. პირველი სახიფათო მომენტი აფრიკელებმა შექმნეს, როდესაც მარცხენა ფრთიდან ანგიბედომ წამოიწყო შეტევა, დრიბლინგით გასცდა ორ მცველს და 20 მეტრიდან უძლიერესად დაარტყა, მაგრამ გამოცდილ იტალიურ „რომას" გოლკიპერი მიხაილ კონსელი ბურთს ადგილზე დახვდა. ავსტრიელები თავის მხრივ კონტრშეტევებით გადიოდნენ ფონს, მარჯვენა ფრთაზე აქტიურად მოქმედებდა „მიუნხენ-1860"-ის ფეხბურთელი, პარალდ ჩერნი, რომელსაც თბილისშიც უთამაშია, მაგრამ მას პარტნიორებმა მხარი ვერ აუბეს. ევროპელები, უნიათოდ, ინერტულად მოქმედებდნენ, მათი თავდასხმის ხაზი საერთოდ პასიურობდა, ჰერცოგმა იმით დაგვამახსოვრა თავი, რომ ერთი ჯარიმა დაარტყა, ისიც მოწინააღმდეგის კედელმა მოიგერია, სწორედ პასიური თამაშის გამო იგი შეცვალა ჰერბერტ პროხაზკამ. ამასობაში კამერუნელები ჩვეული სტილით განაგრძობდნენ აქტიურ, შემტევ თამაშს. რატომღაც არ ჩანდა მათი შედეგების წამომწყები, ერთ დროს 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე არგენტინის კარში გოლის გამტანი. ამჟამად „სამპდორიას" ფეხბურთელი ომან ბიიკი, ჩანს წლებს თავისი მიაქვს. ლიდერობის ფუნქცია ახალგაზრდა მბომამ და გოლის ავტორმა ნჯანკამ იტვირთეს. ამ უკანასკნელმა აქამდე შეგდებული გოლებიდან, ალბათ ყველაზე ლამაზი ბურთი გაიტანა. გრძელი რეიდი წამოიწყო, თავისი ნახევრიდან „კედელი" გაითამაშა პარტნიორთან, მარჯვენა ფრთაზე ორი მეურვე „საცერით" (საფეხბურთო ილეთი) ჩამოიშორა და 15-ოდე მეტრიდან მეკარისაგან შორეულ მარცხენა კუთხის ცხრიანში გაახვია ბურთი. კამერუნელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, შეხვედრის დამთავრებამდე მცირე დრო რჩებოდა და ისინი ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ, როდესაც მინდორზეა „ბებერი მელა" – ტონი პოლსტერი, ყველაფერია მოსალოდნელი, ამ ვეტერან ფეხბურთელს გოლის გატანის არაჩვეულებრივი ალღო აქვს, სწორედ ამის წყალობით, მსაჯის მიერ დამატებულ დროში ავსტრიამ კუთხური ჩამოაწოდა, ბურთი ცენტრში დაეშვა, კამერუნელთა რიგებში არეულობამ იჩინა თავი, საჯარიმოში – ცენტრალური ზონა მთლად უკონტროლოდ დარჩა, რითაც ისარგებლა ტანმაღალმა პოლსტერმა და უძლიერესი დარტყმით ახლო კუთხეში „გაისროლა", რაც ქულით გადარჩენას მოასწავებდა. კამერუნელებმა გამოუცდელობით გაუშვეს ეს გოლი, არადა, რა ახლოს იყვნენ მიზანთან. სტატისტიკის მოყვარულთათვის დავძენ, რომ ეს გოლი უკვე მესამე გახლავთ ამ ჩემპიონატში, ტაიმის უკანასკნელ წუთებში რომ გადის.



პოლსტერის (თეთრ მაისურში) საპასუხო გოლი კამერუნელთა კარში

გოგა ლომიძე

**მატჩი №3. ბორდო „ლე სიუარი". 36.500 მაყურებელი**
**იტალია – ჩილე 2–2 (1–1)**

*იტალია:* პალიუკა, კანავარო, კოსტაკურტა, ნესტა, მალდინი, ალბერტინი, დი ლივიო, დინო ბაჯო, დი მატეო, რობერტო ბაჯო, ვიერი (ინძაგი, 71).
*ჩილე:* ტაპია, ფუენტესი, როხასი, მარგასი (რამირესი, 64), რეისი, პარაგუსი, აკუნია (კორნეხო, 82), ვილიაროელი, ესტეი (სიერა, 81), სამორანო, სალასი.
გოლები: ვიერი (10), სალასი (45,50), რ. ბაჯო (85).
*გააფრთხილეს:* დი ლივიო, კანავარო, პარაგუსი, აკუნია, როხასი
*მსაჯი:* ლ. ბუშერდუ (ნიგერია).

„ივანე მრისხანე" და „მატადორი" სამფეროვანთა „სკუადრას" წინააღმდეგ" ყველაფერი თითქმის ასე მოხდა, თუმცა ჩილე მობილური კოლექტიური თამაშითაც დაუპირისპირდა იტალიას, იმ იტალიას, რომელმაც უარი თქვა ვიალიზე, ძოლაზე, სიმონეზე, კაზირაგიზე. მაგრამ იტალიას რას ვერჩით, როცა მხოლოდ მათი მწვრთნელი ურჩობს და რომ არა რობერტო ბაჯო, ჩეზარე მალდინის რა დღეც დაადგებოდა, ძნელი წარმოსადგენი არ გახლავთ...

ლათინოამერიკელთა ენერგიული დებიუტი სიურპრიზი თუ არა, პატარა მოულოდნელობა კი იყო – ჩილელები იტალიელთა ნახევარზეც ცდილობდნენ პრესინგით დაეთრგუნათ მეტოქე, რასაც, ასე თუ ისე, ახერხებდნენ, მაგრამ შეტევების ხეირიანად ორგანიზებაში დიდი არაფერი გამოსდიოდათ. იტალიელთა ნახევარდაცვასაც ერთობ უჭირდა ხისტ და აგრესიულ ჩილელებთან გამკლავება, გამოსავალი კი გამოცდილმა პაოლო მალდინიმ მოძებნა – შორეული პასით რ. ბაჯოს ჩილელ მცველთა ზურგსუკან მიაღებინა ბურთი, რობერტომ კი ერთი შეხებით ისე ზუსტად უპასუხა ვიერის, რომ ესპანეთის ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმაც უპრობლემოდ იხეირა. ამის შემდეგ იტალიამ, შეიძლება ითქვას, თამაში დაალაგა, ცდილობდა კლასსა და გამოცდილებაში უპირატესობით ნირი წაეხდინა ჩილელებისთვის, მაგრამ საომრაად შემართულ ლათინოამერიკელებთან მხოლოდ ამით ვერას გახდნენ. ჩილელებს კი აბა რა ექნათ და აქცენტი ლიდერებზე სალასზე და სამორანოზე ჰქონდათ გადატანილი. მარსელო სალასს მოედნის სიღრმიდან მართლაც უჭირდა იტალიელთა ძლევა. სამორანო კი მეურვე ნესტას დაჯაბნას ძირითადად „მეორე სართულზე" ცდილობდა. ჯერ პალიუკას ბაქანის მისადგომებთან ისე მოქნილად, ლამაზად და ზუსტად ითამაშა თავით, რომ სალასი იტალიელთა კართან ერთ-ორ მეტრში აღმოჩნდა, მაგრამ „ივანე მრისხანესავით" უზადო თავური არ გამოუვიდა. შემდეგ, ტაიმის ბოლო წამებზე, ესტეის ჩამოწოდებულ კუთხურს პირველი შეეგება თავით, პალიუკასკენ ძლიერად გაგზავნილი ბურთი იტალიელ მცველებს აებლანდათ, მათ სალასმა დაასწრო წამით და ანგარიში გაათანაბრა.



სალასი

ტიფოზებმა ვერც მეორე ნახევარში გაიხარეს – მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, უჯიგროდ, უნიათოდ ირჯებოდა. ჩილე კი, პირიქით – პირველ ტაიმში გატანილი გოლით გამოწვეული ალმაფრენა კარგა ხანს არ ჩაუცხრა და მეორე სიხარულის ჟამმაც არ დააყოვნა, როცა როხასის მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებულს „მატადორი" მარჩელო სალასი ისე გამოეხმაურა, რომ კანავაროსაც აჯობა და პალიუკასაც. „სკუადრა ადურა" ვერც მეორე აშვებულმა გოლმა გამოაფხიზლა, მისი ინერტული თამაშის შემყურე ყველანი ჩემპიონატის პირველ სენსაციას ველოდით. შეცვლებზე შემოსულნი კიეზა და ინძაგიც ვერ ამწვავებდნენ „სკუადრა ადურას" შეტევებს. მაგრამ იტალიელთა თამაშს ხომ რობერტო ბაჯო წარმართავდა, რომელმაც ოსტატურად „აჰკიდა" 11-მეტრიანი – ფუენტესს გამოზომილად ზუსტად მოარტყა ბურთი ხელზე და პენალტიც უნაკლოდ შეასრულა.

იტალია, ტრადიციულად, დუნედ იწყებს მსოფლიო ჩემპიონატებს – კვლავ ამით უნდა ინუგეშონ თავი იტალიომანებმა და ტიფოზებმა.

**მატჩის შემდეგ**

**ნელსონ აკოსტა (ჩილეს მწვრთნელი):** ფორტუნამ ზურგი შეგვაქცია, რადგან მეტოქეზე კარგად ვითამაშეთ და გამარჯვებას ვიმსახურებდით, უსამართლოდ დანიშნული 11-მეტრიანის გამო, ქულას უნდა დავჯერდეთ. პირველ ტაიმში დაცვაში პრობლემები გვქონდა, მეორეში კი შევძელით თამაში ჩვენი კარნახით წაგვემართა. მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებას ვიმსახურებდით, საბოლოოდ მაინც კმაყოფილი ვართ.

**ჩეზარე მალდინი (იტალიის მწვრთნელი):** შესაძლოა ბევრი არ დამეთანხმოს, მაგრამ ვთვლი, რომ იტალიამ ფრე სავსებით დაიმსახურა. დაცვაში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, ხარვეზები დანარჩენ რგოლებშიც გვქონდა. შეცდომების გამო ტრაგედიის შექმნა გაუმართლებელია. არანაირი საბაბი არა მაქვს, რომ მომავალს იმედით არ ვუყურო – ეს ხომ პირველი მატჩი გახლდათ.

**რობერტო ბაჯო:** მინდა დაგარწმუნოთ, რომ 1994 წლის ჩემპიონატის ფინალში ვერგამოუყენებელი პენალტი ჩემზე ფსიქოლოგიურად აღარ მოქმედებს. მიუხედავად ამისა ახლაც ძალიან ვღელავდი – თამაში რომ წაგვეგო, ჩემი სახელი გულშემატკივრების გულებში საბოლოოდ მოკვდებოდა.

## საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე მუშაობას შეუდგა «ლელოს» სპეციალური კორესპონდენტი არკადი სმირნოვი

პარიზის გარეუბან სენ-დენიში, ახლად აშენებული „სტად დე ფრანსზე" მსოფლიოს XVI საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი 25 წუთში დამთავრდა და სიტყვა აიღეს ფიფას ჯერ კიდევ პრეზიდენტმა ჟოაო ავალანჟმა (ახალი თავკაცის იოზეპ ბლატერის კურთხევა 13 ივლისს მოხდება) და საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა, რომლებმაც ასპარეზობა გახსნილად გამოაცხადეს. და დაიწყო...

**მატჩი №1. სენ-დენი. „სტად დე ფრანსი". 80 ათასი მაყურებელი**
**ბრაზილია – შოტლანდია 2–1 (1–1)**

*ბრაზილია:* ტაფარელი, კაფუ, ალდაირი, ჟუნიორ ბაიანო, რობერტო კარლოსი, სეზარ სამპაიო, ჯოვანი (ლეონარდო, 46), დუნგა, რივალდო, რონალდო, ბებეტო (დენილსონი, 71).
*შოტლანდია:* ლეიტონი, კალდერვუდი, ჰენდრი, ბოიდი, ლამბერტი, ბარლი კოლინზი, დეილი (ტ. მაკინლი, 84), ჯექსონი (ბ. მაკინლი, 78), დიური, გალაჰერი.
*გოლები:* 1-0 სეზარ სამპაიო (4), 1-1 კოლინზი (38, პენ.), 2-1 ბოიდი (74, საკ. კარში).
*გააფრთხილეს:* ჯექსონი, სეზარ სამპაიო.
*მსაჯი:* გარსია არანდა (ესპანეთი).

**მატჩის შემდეგ**

**კრეიგ ბრაუნი (შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ჩემპიონატის გახსნის მატჩი ყოველთვის ნერვულად მიმდინარეობს. ეს შეხვედრაც არ იყო გამონაკლისი. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონები ამ მატჩს ფსიქოლოგიურად უფრო მომზადებულები შეხვდნენ, რამაც, ვფიქრობ, შედეგზე იმოქმედა. სუსტად ითამაშეს ჩვენმა მცველებმა. განსაკუთრებით ეს ითქმის ბოლოზე. საქმე ის კი არ არის, რომ საკუთარ კარში გოლი გაიტანა – ელემენტარულ შეცდომებს უშვებდა და რომ არა ვეტერან ლეიტონის ბრწყინვალე თამაში, გამანადგურებელი ანგარიშით წავაგებდით. ვაღიარებ, რომ უძლიერესმა გაიმარჯვა, მაგრამ, ალბათ, შეიძლებოდა მაინც ქულა მოგვეპოვებინა – ბრაზილიელებს ორი გოლი ვაჩუქეთ".

**მარიო ზაგალო (ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ჩემი გუნდის უპირატესობა აშკარა იყო და დამსახურებულად მოვიპოვეთ სამი ქულა. ნამდვილად ველოდით, რომ სქოთებთან გაგვიჭირდებოდა, ასეც მოხდა – ჩემპიონატის გახსნის მატჩი ნამდვილად დაძაბულად წარიმართა. მართალია, სამხრეთამერიკელთა მოქმედებაში გარკვეული ხარვეზები შეიმჩნეოდა, დარწმუნებული ვარ ბიჭები თამაშიდან თამაშამდე მოუმატებენ. ჩვენთვის დებიუტი იღბლიანი გამოდგა და სწრაფადაც გავხსენით ანგარიში, მაგრამ შემდეგ ფეხბურთელები მოეშვნენ, არ დაიცვეს სათამაშო დისციპლინა, რაც კინაღამ ძვირად დაგვიჯდა. ბევრს გაუკვირდებოდა, რატომ შევცვალე ჯოვანი – იგი მინდორზე გადაღლილად გამოიყურებოდა. ლეონარდომ უფრო ჟინით, დინამიურად ითამაშა და მე კმაყოფილი დავრჩი".

* * *

„სტად დე ფრანსის" სტადიონის მშვენივრად მოწყობილ პრეს-ცენტრში პატივი მხვდა გამეცნო *კეროლ ჩაუსი* და *როჯერ ზაბელი* (იხ. ფოტო). საფრანგეთის ტელევიზიის



იხ. მე-5 გვ.

# FRANCE 98 INFORMATIONS

*(გაგრძელება. დასაწყისი მე-4 გვერდზე)*

(TF-1) სპორტული კომენტატორები. მათ ერთობლივად მიჰყავდათ ბრაზილია – შოტლანდიის მატჩის ტელერეპორტაჟი.

**კეროლ რაუსი:** „არ ვიცი თქვენზე როგორ, მაგრამ პირადად ჩემზე ბრაზილიელებმა ორმაგი შთაბეჭდილება დატოვეს: მათი ტექნიკა, იმპროვიზაციის უნარი აღფრთოვანებას იწვევს; ამავე დროს გუნდს აშკარად აკლია „შეკვრა“, დაბალანსება. მონდიალზე თამაში ცირკში გამოსვლა არაა, ყოველგვარი ტრიუკები ერთი მიზნის მისაღწევად – გოლების გატანას უნდა ემსახურებოდეს“.

**როჟერ ზაბელი:** „ვეთანხმები კეროლს. ფეხბურთის მთავარი ამოცანა გოლების შეგდებაა, ყველაფერი ამ იდეის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს. დღეს კი რა ვნახეთ? ბრაზილიელებმა მატჩის დებიუტშივე მიაღწიეს წარმატებას, შემდეგ კი სათამაშო დისციპლინა არად ჩააგდეს, რისთვისაც კინაღამ დაისაჯნენ. გახსოვთ, მეორე ტაიმში, სანამ გამარჯვების გოლს გაიტანდნენ, რამდენჯერ აჩვენეს ტელეკამერებმა ზაგალოს შეშლილი სახე? ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ბოიდს საკუთარ კარში გოლი არ გაეტანა, ხომ ძვირად დაუჯდებოდათ სამხრეთელებს საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება. ყველამ დაიხსომოს – მსოფლიო ჩემპიონატზე ადვილი მატჩები არ იქნება!“

* * *

პრესცენტრშივე შევხვდი ცნობილ ბრაზილიელ მწერალს *პაოლო კაილოს* (იხ. ფოტო), რომელიც პელესა და გარინჩას შესახებ არაერთი წიგნის ავტორია. იგი პირმოღუშული, ირონიით აღსავსე ადევნებდა თვალს „ტეტრაკამპიონელთა“ თამაშს, წარამარა უკმაყოფილოდ აქნევდა თავს და მხოლოდ ერთხელ გაიღიმა – როდესაც შოტლანდიელმა ბოიდმა საკუთარ კარში მოათავსა ბურთი. სინიორი პაოლო თამაშის დამთავრებამდე ორიოდე წუთით ადრე მოსწყდა მონიტორს და სიამოვნებით გააბოლა ჩიბუხი: „ვატყობ, საფრანგეთში ტყუილად ჩამოვედი, ასეთი თამაშით ბრაზილია შორს ვერ წავა და შეიძლება მაროკოსთანაც კი წააგოს. ზაგალოს მოღვაწეობით ქვეყანაში ბევრია უკმაყოფილო და რომ არა ტეიშეირა (ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი – *რედ.*), მას კარგა ხანია დაატოვებინებდნენ ნაკრებს.



გახსოვთ, რა გუნდი ჰყავდა ბრაზილიას ჟოაო სალდანიას დროს? – იგი ჩვენი კოლეგა, ჟურნალისტი იყო, იმავდროულად ბრწყინვალედ ერკვეოდა ყველა საფეხბურთო ნიუანსში. აი, მაშინ გვყავდა გუნდი!“

* * *

სტადიონის გასასვლელში სახელგანთქმული *ფრანც ბეკენბაუერი* დავიმარტოხელეთ. „სპორტ-ექსპრესის“ ჟურნალისტებთან ერთად მას ბლიცინტერვიუ ჩამოვართვით.

● ***ჰერ ფრანც, როგორი შთაბეჭდილება დატოვეს თქვენზე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა?***

– ნერვული მატჩი გამოდგა. თუმცა, ბრაზილია მაინც ბრაზილიაა, დროდადრო იგი მინი-შოუს პატარა წარმოდგენებს მართავდა. ისე, ერთი-ორი ასეთი გულარხეინი თამაში და ზაგალოს გულმა შეიძლება ყოველივეს ვეღარ გაუძლოს.



● ***როგორ ფიქრობთ, ვინ შეხვდება ერთმანეთს ფინალურ მატჩში?***

– ძნელი სათქმელია, ისე, ერთი ნათელმხილველია გერმანიაში, რეგენსბურგში ცხოვრობს, მას უთქვამს, ეს წყვილი არგენტინა – გერმანია იქნებაო...

● ***უფრო სერიოზულად?***

– სიამოვნებით ვიზიარებ ამ ნათელმხილველის პოზიციას.

**მატჩი №2. მონპელიე. „სტად დე მოსონი“. 35.500 მაყურებელი**

**მაროკო – ნორვეგია 2-2 (1-1)**

***მაროკო:*** ბენზეკრი, ნაიბეტი, ელ ხალეჯი (აზუზი, 90), ელ ჰადრიუ, როსი, ჩიპო (ამზინი, 79), საბერი, ჩიბა, ჰაჯი, ბასირი, ჰადა (ელ ხატაბი, 87).

***ნორვეგია:*** გროდასი, ეგენი, იონსენი, ჰალე, ბერგი, ჰ. ფლო (სოლბაკენი, 71), რეკდალი, ლეონარდსენი, მიუკლანდი, სოლსკიაერი (რისეტი, 46), ტ. ა. ფლო.

***გოლები*** 1-0 ჰაჯი (38), 1-1 ჩიპო (45 საკ.კარში), 2-1 ჰადა (59), 2-2 ეგენი (62).

***გააფრთხილეს:*** ჩიბა

***მსაჯი:*** უნ პრასერტი (ტაილანდი).

**მატჩის შემდეგ**

**ანრი მიშელი (მაროკოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** „ძალიან დამწყდა გული, რომ ფრეს დავჯერდით. რომ არა დაცვისა და განსაკუთრებით ჩვენი მეკარის არასაიმედო თამაში, უთუოდ მოვახდენდით პირველ მინისენსაციას. სკანდინავიელთა გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა – ოლსენის ნაკრები დღეს ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში და ამიტომ მაინც კმაყოფილი ვარ შედეგით. მაროკოს ნაკრებს ჯერ კიდევ დასახვეწი აქვს თამაში, განსაკუთრებით ეს მცველთა მოქმედებას ეხება და, პირველ რიგში, მარჯვენა მცველ ნაიბეტს. ამას იმიტომ ვამბობ, ვიცი მისი შესაძლებლობები. იმედი მაქვს იგი შემდგომში მოუმატებს“.

**ეგილ ოლსენი (ნორვეგიის ნაკრების მწვრთნელი):** „მაროკოელთა დაბალანსებულმა ტექნიკურმა გუნდმა გამაკვირვა. შედეგით კმაყოფილი ვარ, ვინაიდან წაგებაც შეგვეძლო – ორჯერ ვაგებდით და მაინც ფრეს მივაღწიეთ, ეს ცუდი არაა, ბიჭებს რწმენას შემატებს. ჩვენს თამაშში ბევრი ხარვეზი შეიმჩნეოდა, განსაკუთრებით ეს მცველებს ეხებათ. ისინი საერთოდ არ აზღვევდნენ ერთმანეთს. შემდეგ მატჩში ასეთი რამ არ უნდა განმეორდეს!“

* * *

**ჟორჟ ფრიში, ნორვეგიის ტელევიზიის სპორტული ტელეკომენტატორი პარიზში,** მაროკო – ნორვეგიის მატჩის მეორე დღეს გავიცანი.

● ***გუშინ მონპელიეში ბრძანდებოდით, როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე მშობლიური გუნდის თამაშმა?***

– გულახდილად გეტყვით, გაოგნებული ვარ. მატჩამდე ყველა ნორვეგიელი ჟურნალისტი გაბედულად ჩადიოდა ფსონს სკანდინავიელთა გამარჯვებაზე. ფეხბურთელებიც, მწვრთნელებიც გვაიმედებდნენ – ეს გუნდი ორი წელია იქმნება და ამ ჩემპიონატში აუცილებლად მოვიმკით შედეგსო. სინამდვილეში რაც მოხდა, დაინახეთ – კინაღამ ჯგუფის აუტსაიდერთან დავმარცხდით.

● ***ნორვეგიელებმა ვერ გამოავლინეს საუკეთესო თვისებები, თუ აფრიკელებმა არ მისცეს ამის საშუალება?***

– ვფიქრობ, ამაში უფრო ნორვეგიელთა „დამსახურებაა“: ნეტავი რა უჩიჩინა ასეთი ბიჭებს ეგილ ოლსენმა – დაცვაში ერთ ხაზზე, დაზღვევის გარეშე ითამაშეთო? მე რომ მწვრთნელი ვიყო, მონპელიეში ვინც ითამაშა, უმეტესობას სათადარიგოთა სკამზე დავსვამდი.



● ***ნორვეგია ევრო-2000-ზე ქართველების მეტოქეა შესარჩევ ჯგუფში. რას იტყვით ამის შესახებ?***

– დასამალი არაა, მონდიალის დამთავრებისთანავე ეგილ ოლსენი ნაკრებს ტოვებს, ახალ მწვრთნელს კი, როგორც ვიცი, სხვა საფეხბურთო კონცეფცია აქვს, ესე იგი, გუნდში სულ სხვა ფეხბურთელებს გამოუძახებს. ამიტომ ახლა ძნელია წინასწარ განსაზღვრო ძალთა თანაფარდობა, ისე, საერთო ჯამში, ნორვეგიული ფეხბურთისათვის დამახასიათებელ ნიშნებს – მოთამაშეთა კარგი ფიზიკური მომზადება, „მეორე სართულზე“ დამაჯერებელი მოქმედება, მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა, სისწრაფე – ალბათ, ეროვნული გუნდი შეინარჩუნებს. რაც შეეხება ქართველებს, შარშანწინ ოსლოში ვნახე ნაკრების თამაში, თანაბარი ორთაბრძოლა იყო და ჩვენებმა მხოლოდ მატჩის ბოლოს პენალტით მოიგეს. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ამიტომ, ვიმეორებ, გუნდების შანსებზე ძნელია ლაპარაკი.

ისე, რა დროს ევრო-2000-ია, ჯერ ხომ საფრანგეთი-98-ია?

**მასალები მოამზადა და ფაქსით გადმოსცა არკადი სმირნოვმა, საფრანგეთში „ლელოს“ სპეციალურმა კორესპონდენტმა**

## თურქებს გერმანელებისა სჯერათ

გერმანულ „შტუტგარტს“, წლეულს რომ თასების თასის ფინალამდე მიაღწია და ბუნდესლიგაში მეორე ადგილს დასჯერდა, მომავალი სეზონისთვის ახალი მწვრთნელის მოძებნა მოუწევს. საქმე ისაა, რომ კლუბის ბოლოდროინდელ თავკაცს იოაჰიმ ლოვს თურქული „ფენერბახჩე“ ეპატიჟება და წლიურ გასამრჯელოდ 2 მილიონ დოლარს სთავაზობს. ლოვი კი „შტუტგარტში“ გაცილებით ნაკლებ თანხას იღებდა, თანაც გულშემატკივრები და კლუბის მეპატრონეები მას არც თუ ისე ემადლიერებოდნენ.

საერთოდ, თურქეთში დიდად ფასობენ გერმანელი სპეციალისტები, ოსმალოებთან ხომ ერთ დროს კრისტოფ დაუმი და თვით იუპ დერვალიც მუშაობდნენ.

## აფრიკამოვლილი ალბიონს მიაშურებს

ატლანტის 1996 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ფრანგმა სპეციალისტმა ფილიპ ტრუსიემ „სუპერარწივებს“ ოქროს მედლები მოაპოვებინა. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ კი ტრიუმფატორი მწვრთნელი „გადააგდო“ – ტრუსიეს დღესაც არ მიუღია რამდენიმე თვის გასამრჯელო. ფილიპი ამის შემდეგ ბურკინა ფასოს წვრთნიდა, მაგრამ, რადგან ამ ნაკრებმა „საკუთარ კედლებში“ არც თუ ისე სახარბიელოდ ითამაშა აფრიკის თასზე, ტრუსიე უმუშევარი დარჩა. ის ერთობ ცდილობდა „პარი სენჟერმენს“ ჩასდგომოდა სათავეში, თუმცა პარიზულმა კლუბმა ბოლო ხანს უპირატესობა წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელს ალან ჟირესს მიაკუთვნა. ახლა კი, ფილიპ ტრუსიეს, როგორც იქნა, ეშველა – მომავალი სეზონიდან ის ინგლისურ „შეფილდ უენსდეის“ გაწვრთნის.

## ვიალი ძალას იკრებს

ინგლისურმა „ჩელსიმ“ პიერლუიჯი კაზირაგისა და ბრაიან ლაუდრუპის შემდეგ კიდევ ერთი ახალი შევსება მიიღო – 29 წლის მარსელ დესაი. მან ლონდონურ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი (თავისუფალი აგენტი). ამით „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი ერთობ კმაყოფილია და სამომავლოდ მხოლოდ ჩემპიონობასა და ასოციაციის თასის მოგებას თვლის დადებით შედეგად.

კლუბის მფლობელები კი, ჯერჯერობით, თავს იკავებენ ვიალის სატრანსფერო პოლიტიკის კომენტარისაგან. – მათ ხომ სწორედ ეს დაუწუნეს და გუნდს ჩამოაშორეს ვიალის წინამორბედი რუუდ გულიტი.

## შარშანწინ გვაიმედებდნენ, 1998-ში საქართველოში ამხანაგური მატჩების „ცვენა“ იქნებაო...

ახლა, ყველა ეროვნული ნაკრების მესვეურთა გულისყური საფრანგეთისკენაა მიპყრობილი, მაგრამ, მონდიალზე ვერმოხვედრილებს აწმყოზე მეტად, სამომავლო გეგმები აფიქრებთ. საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვლადიმერ გუცაევის საფიქრალიც ესაა – რაც შეიძლება უკეთ მოამზადოს გუნდი 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისათვის. თავი რომ დავანებოთ ქართული ფეხბურთის ფინანსურ პრობლემებს, არანაკლებად აფერხებს მზადებას ღირსეული სპარინგ-პარტნიორების შერჩევა. არადა, სწორედ წელს საქართველოში მოსალოდნელი იყო ამხანაგური მატჩების „ცვენა“: 1996-ში, სანამ მსოფლიო ჩემპიონატი დაიწყებოდა, ჩვენებმა გასვლითი მატჩები ითამაშეს კვიპროსელებთან, ბერძნებთან, რუმინელებთან და ნორვეგიელებთან. სწორედ ეს გუნდები უნდა ჩამოსულიყვნენ ახლა ჩვენს ქვეყანაში საპასუხო ვიზიტად. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ – ნორვეგია და საბერძნეთი კენჭისყრამ ევრო-2000-ზე მეტოქეებად დაგვაპირისპირა, არც რუმინელებს სცხელოდათ ჩვენთვის, ისინი გამალებით ემზადებოდნენ მონდიალისათვის. შეგვრჩა კვიპროსი და მანაც, გაურკვეველი მიზეზებით, უარი შემოგვითვალა – ვერ ჩამოვალთო.

რატომ აღმოვჩნდით ასეთ მდგომარეობაში და შეიძლებოდა თუ არა უფრო ადრე ამ სიტუაციის პროგნოზირება, ეს ცალკე სასაუბრო თემაა და, ვფიქრობთ, სფფ-ს მომავალ ყრილობაზე ამაზეც იქნება მსჯელობა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ევრო-2000-თვის ნაკრების სრულფასოვნად მომზადება მხოლოდ მალტაში ჩატარებული 3 მატჩით (ისიც ევროპის საფეხბურთო ელიტისაგან ძალიან შორს მყოფ გუნდებთან) და რუსეთელებთან მეგობრული შეხვედრით წარმოუდგენლად მიგვაჩნია. შესარჩევ ტურნირამდე ჩვენებს უნდა ეთამაშათ – შინ მოსკოვის „ტორპედოსთან“ და სტუმრად აზერბაიჯანისა და უკრაინის ნაკრებებთან. თავიდანვე ეჭვი გაგვიჩნდა, რომ პირველ ორ მეტოქესთან შეხვედრებმა ჩვენებს რაიმე პრაქტიკული სარგებელი მოუტანოს. ეტყობა, ზებუნებრივი ძალებიც ამასვე ფიქრობდნენ და ბოლო ინფორმაციით ეს მატჩები აღარ შედგება. მაშ, დავრჩით უკრაინასთან 19 აგვისტოს მატჩის ანაბარა. ისიც რომ წარმოვიდგინოთ, კიევში ნამდვილი სპარინგ-მატჩი გაიმართება, ეყოფა თუ არა ეს ვლადიმერ გუცაევს ნამდვილ ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოსაყალიბებლად?

## ეროვნულზე სავარძლები გვექნება, განათებაზე კი... ბოდიში!

ორთვენახევარში საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ევრო-2000-ის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება და პირველ მატჩს გამართავს ალბანელების წინააღმდეგ თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. უფრო ადრე, ივლისის შუა რიცხვებში ამავე სარბიელზე ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო მატჩს ითამაშებს თბილისის „დინამო“. ცხადია, „ლელო“ დაინტერესდა, როგორ მზადყოფნაში შეხვდება ქვეყნის უმთავრესი სპორტული სარბიელი ამ მატჩებს.

სტადიონის დირექციაში შევიტყვეთ, რომ უეფამ 20 ათასი სავარძლის დამზადებასა და დამონტაჟებისათვის 680 ათასი დოლარი გამოჰყო. თუ სავარძლების ამ რაოდენობას ადრე დამონტაჟებულ 2 ათასს დავუმატებთ, გამოდის, რომ სტადიონზე სულ მოკლე ხანში 22 ათასი ინდივიდუალური დასაჯდომი ადგილი გვექნება. ეს რაოდენობა 75-ათასიანი სტადიონისთვის, ცხადია, ცოტაა, მაგრამ, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბილეთები ამაზე მეტი არასოდეს იყიდება, ესეც რამეა.

ეს, რაც შეეხება სავარძლებს. უფრო რთულადაა სტადიონის განათების საკითხი – ამაზე ფული არაა, უთქვამთ უეფაში, ცოტა, თქვენი ქალაქის მამებიც გაინძრნენ და ეს სამუშაოები დააფინანსონო.

## სფფ-ს მომავალი არჩევნები ● გზა მიეცით ღირსეულთ!

### ვაგრძელებთ დისკუსიას

**1. ვის ისურვებდით და რატომ სფფ-ს პრეზიდენტად?**
**2. რა გზებითა და საშუალებებითაა შესაძლებელი ქართული ფეხბურთის დონის ამაღლება?**

1. უცოდველი არავინაა, „ოღრო-ჩოღროზე“ ბევრს დაუცდა ფეხი, მაგრამ ზოგიერთებმა ცხოვრების გზაზე ღირსეულად იარეს. ასეთად ალექსანდრე ჩივაძე შემოგვრჩა. მან ყველაზე კარგად უწყის ვინ გაათეთრა და ვინ გააშავა ქართული ფეხბურთი. სპორტში ჩახედულმა ხალხმა იცის, რომ სსრკ-ს ნაკრების კაპიტნობისათვის მარტო კარგი ფეხბურთელობა საკმარისი არ იყო – ენდობოდნენ და სჯეროდათ მისი, რადგან ჩივაძის ცხოვრების კრედო სიმართლე და პატიოსნებაა. მომავალი კი მართალი ადამიანისაა! მჯერა, ბატონი საშა შეძლებს იმ მრავალი ნაკლოვანებების გამოსწორებას, რაც სფფ-შია.

2. ჩვენი ფეხბურთელების მიგრაციის გამო საჭიროა შეიქმნას მექანიზმი, რომელიც ქართულ ფეხბურთს გაღარიბებისაგან დაიცავს. ჩემი აზრით, ახალგაზრდა მოთამაშეებს მხოლოდ იმ ქვეყნების უმაღლეს ლიგებში უნდა მიეცეს კარიერის გაგრძელების ნებართვა, რომლებიც ჩვენზე მაღლა დგანან ბოლო წლების შედეგების მიხედვით დიფერენცირებულ კალათებში. 26 წლის და უფრო ასაკოვან ფეხბურთელებს კი არავითარი შეზღუდვები არ უნდა ეხებოდეს.

5 ქულის დაკლება რომ არასასურველია, ალბათ ყველასათვის ცხადია. თანაც ეს წესი ყოველთვის და ყველასთან ვერ მოქმედებს.

სფფ-ს დამსახურებაა, რომ ჩვენში ამაღლდა მსაჯობის დონე. მსაჯებს დღეს კანონიერად შეუძლიათ თვეში იმდენად სოლიდური თანხის გამომუშავება, რაც ჩვენნაირი ღარიბი ქვეყნისთვის ფანტასტიკურია.

სახელმწიფო ფეხბურთს უნდა ეხმარებოდეს, მაგრამ სანამ ქვეყანაში კორუფცია ბატონობს, საშველი არაფერს დაადგება. მიუხედავად ამისა, ქართული ფეხბურთი მაინც არსებობს.

სფფ-მ ყველაფერი უნდა გააკეთოს მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად – აღებ-მიცემობისა და ჩაწყობილი თამაშების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ხომ მწვრთნელთა დაბალი პროფესიონალიზმიცაა...

**ბიჭიკო დეკანოზიშვილი (თელავი)**

* * *

1. თქვენი რედაქციის მიერ წამოწყებული დისკუსია უთუოდ მისასალმებელია. ფეხბურთის გულშემატკივრის ნახევარსაუკუნოვანი სტაჟი გამაჩნია და სფფ-ს მომავალ პრეზიდენტზეც გარკვეული აზრი მაქვს:

პირველ რიგში, ის უნდა იყოს საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელი;

გარკვეული წარმატებები უნდა ჰქონდეს როგორც მწვრთნელსაც;

სასურველია, რომ განათლებით იყოს იურისტი;

ფლობდეს ერთ-ერთ უცხო ენას (რუსულის გარდა);

იყოს მიუკერძოებელი და კრისტალურად წმინდა;

შემთხვევითი პიროვნება, თუნდაც განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, სფფ-ს პრეზიდენტად არ გამოდგება.

2. სფფს ფუნქციებში არ უნდა შედიოდეს ეროვნული ჩემპიონატის ჩატარება, ამისთვის პროფესიული საფეხბურთო ლიგა უნდა შეიქმნას. სფფ-სგან მსაჯთა კორპუსიც უნდა გაიმიჯნოს. პირველ ჯგუფში 8 ან 10 გუნდი უნდა მონაწილეობდეს და ოთხ წრედ გაეჯიბრონ ერთმანეთს. ყველაზე დიდ ეფექტს კი, ვფიქრობ, ეროვნული ჩემპიონატის კონფედერაციული პრინციპით წარმართვა მოგვიტანს, რაც ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში საგრძნობლად გამოაცოცხლებს საფეხბურთო ცხოვრებას.

**დემურ ტორაძე (ხონი)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესკონფერენცია

# ფოთი იბრუნებს ევროპას და უფრო შორეულ ქვეყნებსაც...



**1991 წლის შემდეგ, საქართველოში, კერძოდ, ფოთში, უახლოეს ათწლეულში თუ კვლავ ჩატარდებოდა წყალსათხილამურო სპორტში საერთაშორისო შეჯიბრება, ძნელი დასაჯერებელი იყო, მაგრამ დღეს უკვე რეალობის წინაშე ვდგევართ...**

იმ წელს, ის იყო, ფოთში დამთავრდა ევროპის ჩემპიონატი, სტუმრებს, როგორც იტყვიან, ჯერ ჩემოდნებიც არ ჰქონდათ ჩალაგებული, რომ მოსკოვში პუტჩი მოხდა. ჩვენშიაც იმ დღიდან აირია ქვეყანა, მალთაყვაში საგანგებოდ გაშენებული ახალი წყალსათხილამურო კომპლექსიც, თავისი მართლაც შესანიშნავი სასტუმროთი, ძარცვისა და განიავების ობიექტად იქცა. დაიტაცეს ყველაფერი, რისი ხელშევლებაც შეიძლებოდა. შესანიშნავად ჩატარებული ევროპის ჩემპიონატი, წესით, ჩვენში სპორტის ამ სახეობის შემდგომი აღმავლობის ახალ სტიმულად უნდა ქცეულიყო! მოხდა პირიქით, – დასასრულის დასაწყისად იქცა. მთელი 7 წელიწადი იბრძოდა შესაბამისი ფედერაცია და მისი პრეზიდენტი რომან მელია ტრადიციების აღსადგენად. როგორც იქნა მიზანმიმართულმა გარჯამ ნაყოფი გამოიღო – ფოთი კვლავ იბრუნებს ევროპის წყალსათხილამურო სპორტის ერთ-ერთი საყურადღებო ცენტრის იმიჯს. რომან მელიამ ჩინებულად იცის, რომ ჩვენში მაღალი რანგის შეჯიბრებების გამართვას, ისევე როგორც 1991 წელს, უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. ახლა შეიძლება გადაწყვეტილად ითქვას, რომ ფოთი კვლავ უმასპინძლებს წყალმოთხილამურეთა დიდ საერთაშორისო ტურნირს, რომლის სახელწოდებაა „ოქროს ტბის ოსტატები-98“. არადა, რამდენი ენერგია, რამდენი დრო წაიღო ინსტანციებში სიარულმა და მხარდამჭერთა ძიებამ, უცხოეთის ქვეყნების ფედერაციებთან ნდობის აღდგენის ძალისხმევამ. ყველაფერ ამას რომან მელია განვლილ ეტაპად და ჩვეულებრივ ამბად თვლის და ახლა უკვე ახალი ასპარეზების კვლავ სამაგალითოდ ჩატარებაზეა ორიენტირებული, რაზედაც ესაუბრა კიდეც ჟურნალისტებს, გუშინ ჟურნალისტთა ფედერაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

– ტურნირზე ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნების წარმომადგენლებს მოველით, ჩამოსვლის სურვილი აქვთ აგრეთვე კანადისა და აშშ-ის წყალმოთხილამურეებს. სულ 26 ქვეყანა გეგმავს იასპარეზოს ტურნირში – განაცხადა ბატონმა რომანმა.

ითქვა, რომ 20 ქვეყანა მაინც მოავლენს თავის ოსტატებს, მით უფრო, რომ ტურნირი I კატეგორიისაა და საერთაშორისო ფედერაციის კლასიფიკაციაში შედის, როგორც სავალდებულო. ნათქვამს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ფოთში შეჯიბრების (22-27 ივლისი) დამთავრებიდან ერთი კვირის შემდეგ იწყება ევროპის ჩემპიონატი, ცხადი გახდება, რაოდენ მნიშვნელოვანია „ოქროს ტბის“ სტარტები.





სააქციო სპორტსაზოგადოება „არგო“ მალთაყვაში კვლავ დაუბრუნებს სასტუმროს ასეთ იერს

მაგრამ ასეთი ტურნირის ჩატარება ხომ ძვირადღირებული სიამოვნებაა. რომან მელიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ასპარეზობის ჩატარებას მხარი დაუჭირა ქვეყნის პრეზიდენტმა, სპორტის დეპარტამენტი და პირადად კ. ასათიანი ყველაფერს აკეთებენ პრობლემების მოსაგვარებლად. მათ შეიძინეს ორი კატარღა, ურომლისოდ წარმოუდგენელია ტურნირის ჩატარება. ცხადია, ბევრს აკეთებს მასპინძელი ქალაქი და მისი ხელმძღვანელი ივანე ზოდელავა. მერიამ უკვე გამოჰყო ბიუჯეტიდან 30 ათასი ლარი.

რა თქმა უნდა, თანხები მეტია საჭირო. რ. მელია იმედოვნებს, რომ საჭირო თანხები უთუოდ გამოინახება, სულ ხარჯები 85 ათას ლარზეა გაანგარიშებული, მაგრამ თუ ყველაფერი კარგად აეწყო, გაჩნდება შემოსავალიც ინგლისის სატელევიზიო არხები დაინტერესებულან ტრანსლაციით, გამოჩნდნენ რეკლამის განთავსების უცხოური ფირმები, რასაც, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენს ფირმებზე ვერ ვიტყვით. ტურნირის საინფორმაციო-სარეკლამო საქმიანობის ორგანიზების ექსკლუზიური უფლება საქართველოში ფირმა „დავითს“ (დავით გაჩეჩილაძე) აქვს მინიჭებული და როგორც პრესკონფერენციაზე დავითმა განაცხადა, მის ფირმას უკვე კონტაქტები აქვს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან. მისი თქმით, ეს ასპარეზობა თავადაა საქართველოს რეკლამა, რასაც არ შეიძლება არ დაეთანხმო. ჟურნალისტები, ცხადია, დაინტერესდნენ ტურნირში საქართველოს სპორტსმენთა წარმომადგენლობით. რ. მელიამ განმარტა, რომ ჩვენს გუნდში გამოვლენ ფოთელები: გენადი გურალია, კახაბერ საჯაია, ანა ლიფონავა, თბილისელი ნატო სანაძე და რუსთაველი დათო დოლიძე. მათგან ყველაზე მეტად გამოცდილი გენადი გურალიასგანაა მოსალოდნელი წარმატება.

როგორც შევიტყვეთ, მონაწილე ქვეყნებმა 15 ივლისამდე უნდა წარმოადგინონ განაცხადი. გალში დატრიალებულმა ამბებმა თურმე ზოგიერთი ფედერაცია დააფიქრა, ფაქსებიც მოსულა თხოვნით, აცნობონ თუ რამდენი კილომეტრითაა დაშორებული ფოთი გალიდან.

– ჩვენ ვაძლევთ სათანადო განმარტებებს და უკვე 12 ქვეყნის განაცხადი საქაღალდეში გვიდევს – თქვა რომან მელიამ.

თ. თომაშვილი

თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადა

# შემობრუნება...

მაშინ, როცა ბევრს ეგონა, რომ ბავშვთა სპორტი, კერძოდ კი, სპორტი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩაკვდა და, როგორც იტყვიან, წელს დიდხანს ვერ წამოწევდა, ყველანი უეცარი შემობრუნების მოწმენი გავხდით.

არ ვიცით კონკრეტულად ვინ ჩაიფიქრა, რა გაითვალა და რისი იმედით, მაგრამ დღეს ფაქტს, ანუ შედეგს ვაანალიზებთ და სკეპტიკოსთა გასაწბილებელ დასკვნამდე მივდივართ. მოკლედ ვთქვათ, თბილისის მერიის განათლების მთავარ სამმართველოში, რომელსაც მოზარდი თაობის სიყვარულით გულანთებული კაცი ზაზა მარუაშვილი უდგას სათავეში, ამ ორი წლის წინ გადაწყდა შექმნილიყო ხსენებული მთავარი სამმართველოს მოსწავლეთა საქალაქო ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანება, რომლის გენერალურ დირექტორად უნარიანობით გამორჩეული პიროვნება, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვაჟა ჭკუასელი დაინიშნა. ახლა დაუფარავად შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაბიჯი იყო თამამი გამოწვევა ინერტულობიდან აქტიურობაზე გადასასვლელად და... ჩანაფიქრმა გაამართლა. გაამართლა ახალმა სტრუქტურამ, რომლის ქმედითუნარიანობა ბევრს აეჭვებდა.

სიმართლე გითხრათ, კომუნისტური მმართველობის ხანაში, თითქმის არასდროს არავის უნახავს ქალაქის ხელმძღვანელები, თუნდაც განათლების თავკაცი, მოსწავლეთა საქალაქო სპორტულ შეჯიბრებებს დასწრებოდნენ. ბატონი ზაზა მარუაშვილი ბევრჯერ და ბევრგან გვინახავს ასეთ შეჯიბრებებზე, იქნებ სწორედ ხელმძღვანელის პირადი მაგალითი აღმოჩნდა ის იმპულსი, რომელმაც ასე დარაზმა ბავშვთა სპორტთან დაკავშირებული ადამიანები, სკოლის ხელმძღვანელები, თვით დედაქალაქის უპირველესი სპორტული ბაზების თავკაცები...

ერთი სიტყვით, მიუხედავად უმძიმესი პირობებისა, გამოცოცხლდა სკოლისგარეშე სპორტული მუშაობა, საფუძვლიანად აღორძინდა დედაქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადების ჩატარება. (სამწუხაროდ, ფიზაღზრდის გაკვეთილებთან დაკავშირებით პრობლემები კვლავ გადაუჭრელი რჩება). ის ფაქტი, რომ შიდასასკოლო, რაიონულ და საქალაქო შეჯიბრებებში, რომლებიც სპორტის 22 სახეობაში გაიმართა სპარტაკიადის პროგრამით, 60 ათასზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა, უდავოდ შთამბეჭდავია.

ადრე, ყველას უყვარდა მაღალი ტრიბუნიდან იმის გამეორება, რომ „მომავალი ოლიმპიური ჩემპიონების მედალი მოსწავლის ჩანთაში ძევს“. წლევანდელმა მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადამ, რომელიც ათვლიდან რიგით 52-ე იყო, არა მარტო შეგვახსენა ეს სიტყვები, არამედ, დაკვირვებულ სპეციალისტებს, მისი რეალობად ქცევის იმედიც ჩაუსახა. ესაა ამ სპარტაკიადის კიდევ ერთი, ასე ვთქვათ, უმთავრესი შედეგი. მართლაც მაღალი და საიმედო მიღწევებით გახდნენ სპარტაკიადის ჩემპიონები მძლეოსნები: საბურთალოს რაიონიდან – ი. დუბინა (რბენა 100 და 200 მ.), ი. მაისურაძე (300 და 400 მ), ნ. კაპანაძე (1500 და 3000 მ.), ვაკის რაიონიდან – ი. კვანტიძე (ბირთვის კვრა) და მ. წიკლაური (სიგრძეზე ხტომა); ველოსპორტში გ. მგელაძე (დიდუბე) და ი. როჭილაშვილი (ისანი), ტანვარჯიშში მ. შამანაური (გლდანი) და რ. დოლიძე (ვაკე), ფიგურულ ციგურაობაში თ. ტუკვაძე, გ. კენჭაძე (ორივე – საბურთალო) და ბ. შანყულაშვილი (დიდუბე), ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ბ. რაქვიაშვილი, ა. ტაბატაძე და გ. მერაბიშვილი (სამივე – ისანი), ფარიკაობაში ნ. კობიაშვილი, ნ. იმნაძე და ი. ზამბახიძე (სამივე – ვაკე) და სხვ.

უდიდესი პასუხისმგებლობით და, აქედან გამომდინარე, მაღალორგანიზებულ დონეზე ჩაატარეს სასპარტაკიადო შეჯიბრებები ფარიკაობის, ხელბურთის, კალათბურთის, ჭიდაობის, ტანვარჯიშისა და ფიგურული ციგურაობის სპორტულმა სკოლებმა მათი დირექტორების ლ. ღალანიძის, ზ. დოლიძის, მ. კეკელიძის, ა გიორგობიანის, გ. ჩხარტიშვილის და ი. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. საერთო დაინტერესების შედეგია ისიც, რომ წინა სპარტაკიადისგან განსხვავებით, უკეთესი მაჩვენებლები აქვთ გლდანის, დიდუბის, ჩუღურეთის, მთაწმინდისა და ვაკის რაიონებს.

„ლელომ“ ადრე აუწყა მკითხველებს გუნდურ ჩათვლაში ვინ რომელ ადგილზე გავიდა, მაგრამ კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ ისნის რაიონის წარმატება (განათლების განყოფილების გამგე ვენერა ჩიფჩიური, სპორტსკოლის დირექტორი ომარ იოსელიანი). ისნელებმა ზედიზედ მეოთხედ მოიგეს



მარცხნიდან: ზაზა მარუაშვილი, გიორგი ჯილაური და ვაჟა ჭკუასელი

საქალაქო სპარტაკიადა. ქებას იმსახურებენ მეორე ადგილზე გასული ჩუღურეთელები (თემურ ანდრიაძე, მიხეილ სუმბათიანი) და მესამე პრიზიორები – ვაკის რაიონის (აკაკი, ვარაზაშვილი, თამაზ შარაშენიძე). აღსანიშნავია, რომ სპორტის ცალკეულ სახეობებში ის რაიონები იმარჯვებდნენ, სადაც ტერიტორიულად შესაბამისი სპორტსკოლები მუშაობს. ეს კი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სპორტსკოლებიც ეჭიდებიან სიძნელეებს, ანუ პრობლემები უკან იხევს, როცა კოლექტივი გამოსავლის ძიებაზეა ორიენტირებული და არა, მართლაც, უამრავი ობიექტური მიზეზებით თავის მართლებაზე.

ის იყო, თბილისის მოსწავლეთა სპარტაკიადა ჩათავდა, რომ დედაქალაქში მოზარდ სპორტსმენთა ახალი შეჯიბრებები დაიწყო. ერთი მათგანი – ფეხბურთელთა სასკოლო ნაკრები გუნდების ასპარეზობა ამ სამიოდე დღის წინ დამთავრდა.

ეს იყო უდავოდ ჩინებული დღესასწაული, ბავშვებს მიეცათ შესაძლებლობა ამ პოპულარულ თამაშში მოესინჯათ საკუთარი ძალა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის წინ. ფინალი მართლაც ღირსეული გამოდგა – ერთმანეთის პირისპირ დადგნენ 35-ე ზოგადსაგანმანათლებლო საფეხბურთო სკოლისა და 25-ე სკოლის მოსწავლეთა ნაკრები გუნდები. ამ მატჩს „ლელოს“ წარმომადგენელიც დაესწრო და ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რა ძალა აქვს ხელმძღვანელის პირად მაგალითს. რაც გინდათ თქვით, მაგრამ თურმე მონდომების კვალდაკვალ შესაძლებელი ყოფილა მოსწავლეთა პირველობის ფინალურ მატჩს თვით ქვეყნის უპირველესმა საფეხბურთო არენამ ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლოს.

ბევრი კარგი გვსმენია თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელზე, მაგრამ ბატონი ზაზა მარუაშვილი ჩვენსა და ყველას თვალში უფრო მეტად ამაღლდა, როცა იგი სტადიონზე ვიხილეთ. ეტყობა დროა, ყველა ასე იქცეოდეს. ნებისმიერ დარგში, ნებისმიერი ხელმძღვანელისათვის არ უნდა არსებობდეს მეორეხარისხოვანი საქმე, ყველაფერი მთავარია, მით უფრო, როცა იგი დაკავშირებულია ჩვენი მომავალი თაობის ფიზიკურ წრთობასთან, თანაც სპორტი ხომ სულიერი აღზრდის ერთი უმთავრესი კომპონენტია.

მადლობა ეროვნული სტადიონის დირექციას (ნუკრი კაკილაშვილი), რომელმაც მოზარდებს დიდი ფეხბურთის მექაში ფეხშედგმის შესაძლებლობა მისცა, ისტორიული, დიდი საფეხბურთო ბატალიების მოწმე სარბიელისა და გასახდელების ჰაერი ასუნთქა. ეს დღე მათ არასოდეს დაავიწყდებათ. ასეთი ღონისძიებები კი წესად უნდა ვაქციოთ. მერე იქნებ, ტრიბუნებზე თუ ბილიკებთან, ჩვენი სახელოვანი სპორტსმენების მზერასაც მოჰკრან თვალი მოასპარეზე ყმაწვილებმა.

თ. ბაქრაძე



ამ გუნდმა, 35-ე საფეხბურთო სკოლის ნაკრებმა, თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფინალურ მატჩში დაამარცხა 25-ე სკოლის ნაკრები – 2-1. III ადგილზე გავიდა 162-ე სკოლის გუნდი.



25-ე სკოლის ნაკრები გუნდი

ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბი

# არსენ მეკოკიშვილი



– ღმერთმა მოგცეს გამარჯვება... მეკოკიშვილო არსენა. ექვსი წლის არსენას – ფიდოსა და სონას კუნთმაგარ ვაჟს მოხეტიალე მუსიკოსმა თავზე ხელი გადაუსვა – „სახელგანთქმული მოჭიდავე გამოხვალ, ბიჭო, შენი დიდება ქართლსაც მიაღწევს!“

შეცდა ძველი მესტვირე: არსენ მეკოკიშვილის სახელმა ქართლს კი არა, მოსკოვსა ტოკიოსა და ჰელსინკს მიაღწია...

შემოდგომაზე, წმინდა გიორგის ბრწყინვალე დღეს, ჭირნახულს რომ დააბინავებდნენ, მშობლიურ გიორგიწმინდაში, იორის ნაპირებზე, ეკლესიასთან მართავდნენ დიდ ჭიდაობა-დღესასწაულს სოფლელები.

გიორგიწმინდელებს სტუმრად ლეგენდარული ქართველი ფალავნები კუზა გლდანელი და სანდრო კანდელაკიც ეწვეოდნენ ხოლმე, რომელთა შესახებ არსენას მხოლოდ გაგონილი თუ ჰქონდა. არსენა და მისი ტოლები, მათ ჰბაძავდნენ, რა თქმა უნდა, სოფლის საჭიდაოზე კი არა, საძოვარზე, როცა ნახირი დაიყრებოდა, პატარა მწყემსები დატრიალდებოდნენ ხოლმე წრეში. იქ, 12 წლის არსენას მეწყვილე გამოუნახეს და დააჭიდეს.

არსენამ თანაკბილა მწყემსი მოლზე დასცა. ეს, შეიძლება ითქვას, ძველი ფალავნის ფიდო მეკოკიშვილის ვაჟის პირველი არაოფიციალური ბრძოლა იყო! აი, პირველი ოფიციალური შეხვედრა კი უმცროსმა მეკოკიშვილმა 1924 წლის მაისში ჩაატარა გიორგობის დღესასწაულზე მათსავით საგარეჯოელ თანატოლ შალვა გზირიშვილთან, რომელსაც ჭიდაობის სპეციალისტები აგრეთვე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. არც ერთს არ უნდოდა დათმობა. მსაჯებმა ფრე აღნიშნეს, დადუმდა ზურნა და დოლი. გული არ დასწყვეტიათ...

არსენ მეკოკიშვილმა საბოლოოდ გადაწყვიტა მოჭიდავე გამოსულიყო, გულდასმით ეუფლებოდა სხვადასხვა ილეთს, ყურადღებით აკვირდებოდა ფალავნებს, არც ერთ შეჯიბრებას არ გამოსტოვებდა. კახეთის სკოლებში ჭიდაობას განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ, ყველა კლასს ჰყავდა თავისი აღიარებული ჩემპიონები! სოფლის სკოლის შენობის უკან ბიჭებს თავისი საჭიდაო წრე ჰქონდათ მოწყობილი. არსენა ადვილად ამარცხებდა უფროსკლასელებსაც კი. მეკოკიშვილების გვარეულობაში იმხანად ყველაზე ძლიერად არსენას ბიძაშვილი – გიორგი ჭიდაობდა. სწრაფი, მოქნილი ფალავანი გახლდათ, თუმცა განსაკუთრებული ღონით არ გამოირჩეოდა. მშვენივრად ფლობდა სარმას – მასზე გაცილებით მძიმე წონის ათლეტებსაც აქცევდა ამ ილეთით. სწორედ მისგან გაიგო პირველად არსენამ სიტყვა „ვარჯიში“. გიორგი ხშირად მიდიოდა სკოლის საჭიდაო წრესთან, ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ნორჩების ჭიდაობას – იგი ერთდროულად მწვრთნელიც იყო და მსაჯიც. სწორედ მან ითავა ახალგაზრდა საგარეჯოელ მოჭიდავეთა ოფიციალური ტურნირის ჩატარება. აქ კვლავ შეებნენ ერთმანეთს ა. მეკოკიშვილი და შ. გზირიშვილი. შ. გზირიშვილი თვითდაჯერებული ეკვეთა მეტოქეს, მაგრამ არსენამ გადაისროლა შალიკო მძლავრი ხელებით. მერე ისევ შ. გზირიშვილმა შეუტია და შერკინება ამჯერადაც ფრედ დამთავრდა.

გავიდა ერთი წელიწადი და „ძველი“ მეტოქენი ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ახლა არსენას უპირატესობა აშკარა იყო და მეტოქე ბეჭებზე აღმოჩნდა. იმ დღიდან ეს ორი ფალავანი დამეგობრდა და ერთადაც გამოდიოდნენ სხვადასხვა შეჯიბრზე. ასამდე შეხვედრა ჩაატარეს ერთმანეთის გულშემატკივრობაში.

19 წლის არსენა 90 კილოგრამს იწონიდა და ნამდვილ გოლიათს ჰგავდა. მარტყოფში გამართულ ტურნირზე, რომელშიც კახეთის 8 სოფლის წარმომადგენლები გამოდიოდნენ, არსენამ 12-ვე მეტოქე დაამარცხა. და შ. გზირიშვილთან ერთად შეუდგა მზადებას თბილისში გასამგზავრებლად. აქ უნდა შეხვედროდა იგი დაუმარცხებელ ვახტანგ ჭიჭინაძეს. არსენა არ შეუშინდა მრისხანე მეტოქეს და, წარმოიდგინეთ, მოისროლა კიდეც დაღლილი ჩემპიონი სარბიელზე. მერე ქულებით სძლია აკაკი დათაძეს, ბეჭებზე დასცა დიმიტრი ბესტაევი, ფინალში კი სძლია გორელ ა. ნაკასაშვილს, ეს ჩემპიონობას ნიშნავდა. სულ მალე თელავში საგარეჯოელებმა მატჩი გამართეს და გაიმარჯვეს 4:2. ა. მეკოკიშვილმა სამი შეხვედრა მოიგო – მიხეილ გეგეჭკორთან, სავანელთან და მესტვირიშვილთან. მალე მას ოფიციალური მწვრთნელიც გამოუყვეს – აკაკი ადეიშვილი. ლენინის სახ. სტადიონზე მდებარე ფიზკულტურის ტექნიკუმის მასწავლებელი.




საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატიც მოახლოვდა ქართულ ჭიდაობაში. ფინალამდე დაუმარცხებლად მიაღწიეს არსენ მეკოკიშვილმა და ფიზკულტურის ტექნიკუმის სტუდენტმა ოთარ აბუაშვილმა. იგი მოგვიანებით სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გახდა. არსენამ წმინდა გამარჯვებას მიაღწია და გადაწყვიტა ახლა ძალა ცირკის მოჭიდავეებთან მოესინჯა – თელავში იმხანად ჩავიდა პროფესიულ მოჭიდავეთა ცირკი: მიშიკო მაჩაბელი, კახეთელიძე, გრიგოლ ზაგორუიკო. ა. მეკოკიშვილმა მოუგო კახეთელიძეს, ხოლო ზაგორუიკოსთან ფრეს დასჯერდა.

1939 წლის ივნისში მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე, ფიზკულტურელთა დიდი დღესასწაული გაიმართა. პირ-



*ჰელსინკი, 1952 წლის XV ოლიმპიური თამაშები. არსენ მეკოკიშვილისა (მარჯვნივ) და შვედი ანტონსონის შეხვედრის ერთ-ერთი ფრაგმენტი.*

*ფოტო „ლელოს“ არქივიდან*

თამდე სავსე ტრიბუნების წინ არსენამ ფრედ დაამთავრა შეხვედრა ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონთან, 110-კილოგრამიან კიეველ არონ გონჟასთან, მერე მოუგო ენერგიულ ვლადიმერ პლიასულიას, აი მესამე ოთაბრძოლაში დასანანი მარცხი იწვნია. თბილისში დაბრუნებულმა „კლასიკის“ გაკვეთილები მიიღო ცნობილი სპეციალისტებისგან ვახტანგ კუხიანიძის, ირაკლი ყანჩელისა და ლეონიდ ძეკონსკისაგან. იმ დროისათვის თანდათან მოიპოვა მოქალაქეობრიობა ჭიდაობის ახალმა სახეობამ – სამბომ, რომელიც დიდად წააგავდა ჩვენს ქართულს. „ეს შენი ჭიდაობაა!“ – უთხრა მწვრთნელმა ილო თომაშვილმა ა. მეკოკიშვილს. არსენამ იმარჯვა უკრაინელ ფომა ბეზდოლიასთან, მერე თანაგუნდელ შოთა ესებუასთან, ფინალში კი – ქვეყნის ჩემპიონ ლენინგრადელ გრიგორი ივანოვთან.

არსენ მეკოკიშვილი უკვე 27 წლისა იყო, ევროპის ჩემპიონი, ლეგენდარული ესტონელი ფალავანი იოჰანეს კოტკასი კი მასზე 2 წლით უმცროსი. მათი პირველი შეხვედრა თბილისში გაიმართა საქართველოსა და ესტონეთის ნაკრები გუნდების მატჩში. გაიმარჯვა სტუმარმა, თუმცა ჩოქბჯენამდე არსენას აშკარა უპირატესობა ჰქონდა. ეტყობა, ტექნიკაში შედარებით მოიკოჭლებდა. მოგვიანებით ისინი კიდევ ბევრჯერ შეხვდნენ ერთმანეთს ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში – კლასიკურში, თავისუფალში და სამბოში. იმარჯვებდა ხან ა. მეკოკიშვილი, ხან ი. კოტკასი, უფრო მეტად მაინც ესტონელი სჯობნიდა. მეორედ ისინი 3 წლის შემდეგ შეხვდნენ გორკში – 1943 წლის ნოემბერში ქვეყნის აბსოლუტურ ჩემპიონატზე. არსენამ წააგო თანამემამულე კონსტანტინე კობერიძესთან და მიხაილ სტრიჟაკთან (ორივე ქვემძიმე წონაში გამოდიოდა), მესამე შეხვედრაში წარმატებას მიაღწია თბილისელ ვარშაკ მაჩკალიანთან და... კვლავ წააგო ი. კოტკასთან. ესტონელი ჩემპიონი გახდა, მეორე იყო კ. კობერიძე, მესამე – ალექსანდრ მაზური. ა. მეკოკიშვილი მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.

ერთი წლის შემდეგ – 1944 წლის ნოემბერში – უძლიერესი „კლასიკოსები“ თბილისში შეიკრიბნენ ქვეყნის მეოთხე ჩემპიონატზე. ჩემპიონობისაკენ მიმავალი გზა არსენას კვლავ კოტკასმა გადაუღობა, მეკოკიშვილი მეორე ადგილზე გავიდა.

ა. მეკოკიშვილი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა, ახლა მას ცნობილი სპეციალისტი ალექსანდრ სენატოროვი ავარჯიშებდა. მოსკოვში გამართული შეჯიბრება ა. მაზურმა მოიგო, თუმცა ახალმა ჩემპიონმა წააგო ი. კოტკასთანაც და ა. მეკოკიშვილთანაც.

1945 წელს ლენინგრადში გაიმართა პირველი საკავშირო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში.

მძიმე წონაში ათი ათლეტი ასპარეზობდა, მათ შორის... აღიარებული „კლასიკოსი“ ი. კოტკასიც. ამჯერად არსენამ სძლია თავის ყველაზე უხერხულ მეტოქეს. ეს იყო მეტად დაძაბული, ლამაზი ფინალი. მესამე ადგილზე ჩვენი შალვა ჩიხლაძე გავიდა, რომელიც, საყოველთაო აზრით, არნახული ძალით გამოირჩეოდა.

1947 წლის ევროპის ჩემპიონატზე, პრაღაში რომ გაიმართა, არსენ მეკოკიშვილი სათადარიგო მოჭიდავედ წაიყვანეს. როგორც ცნობილია, კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვეს რუსმა ნიკოლაი ბელოვმა, ქართველმა კონსტანტინე კობერიძემ და ესტონელმა იოჰანეს კოტკასმა.

როდესაც დადგა ჩვენი სპორტსმენების პირველი გამოსვლის დრო ოლიმპიურ თამაშებში, არსენ მეკოკიშვილი უკვე 40 წლის ვეტერანი იყო, მიუხედავად ამისა, მისი კანდიდატურა ჰელსინკის 1952 წლის თამაშებზე მონაწილეობისათვის დავას არ იწვევდა. მწვრთნელები ალექსანდრ სენატოროვი და ვახტანგ კუხიანიძე კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ გიორგიწმინდელი გოლიათი მშვენიერ სპორტულ ფორმაშია, ყველა მეტოქეს აღემატება აშკარად.

ოლიმპიურ წელს არსენა განსაკუთრებით ენერგიულად ვარჯიშობდა – ბევრ ტურნირში შეამოწმა თავისი ძალა – შინაც და გარეთაც. ოლიმპიადის წინ 8 შეხვედრა ჩაატარა და ყველაში წმინდად გაიმარჯვა.

აი, ოლიმპიური ჰელსინკიც!

12 მოჭიდავე გამოვიდა მძიმეწონოსანთა ტურნირში მაყურებლით სავსე ფინეთის დედაქალაქის „მესუჰადის“ სარბიელზე, მათ შორის იყო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, „ჩრდილოეთის გიგანტად“ წოდებული შვედი ბერტილ ანტონსონი. სწორედ მას თვლიდნენ არსენ მეკოკიშვილის მთავარ მეტოქედ ოლიმპიური ოქროს მედლისათვის ბრძოლაში. თუმცა არანაკლებ ანგარიშგასაწევნი იყვნენ აგრეთვე ინგლისის ჩემპიონი ხ. რიჩმონდი, ჩეხოსლოვაკელთა ფალავანი ი. რუჟიჩკა, ბეჭდაუდებელი თურქი ი. ატანი.

პირველი შეხვედრა არსენას უნგრელთა ჩემპიონ ი. კოვაჩთან ჰქონდა. პირველი 6 წუთი ჩვენი ფალავნის აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა. ა. მეკოკიშვილმა თავიდანვე გადაიყვანა ბრძოლა ჩოქბჯენში და 6 წუთსა და 5 წამში დასდო მეტოქე ბეჭებზე.

უნდა ითქვას, რომ შეხვედრათა უმეტესობა პირველ წრეში წმინდა გამარჯვებით დამთავრდა. კ. რიჩმონდმა 6 წუთში მოუგო წმინდად არგენტინელ ა. რამირესს. აი ბ. ანტონსონს ი. რუჟიჩკას კაპიტულაციისათვის 7 წუთი და 26 წამი დასჭირდა. ი. ატანმა 10 წუთი და 11 წამი მოანდომა ამერიკელ ვ. კინსლაკთან გამკლავებას, ხოლო ფინელმა ტ. კანგასმიემიმ მთელი 11 წუთი და 16 წამი ირანელ ა. ვეფადართან. მხოლოდ იტალიელმა ნ. ვეკჰიმ სძლია ქულებით ბელგიელ ა. ბაარენდს.

მეორე წრის შემდეგ ორ-ორი წაგებით ბრძოლას გამოეთიშნენ ი. კოვაჩი, ა. რამინესი, ი. რუჟიჩკა, ა. ვეფადარი და ა. ბაარენდსი. არსენამ ახლა ქულებით მოუგო გერმანელ ვ. ვალტნერს. ხოლო მესამეში – კ. რიჩმონდს. მეოთხე წრეში ჩვენმა ფალავანმა 4 წუთსა და 10 წამში სძლია ნ. ვეკჰის.

ფინალში ა. მეკოკიშვილის წინააღმდეგ იბრძოდა მასზე მთელი ათი წლით უმცროსი ბ. ანტონსონი. პირველმა 6 წუთმა დგომში არც ერთს არ მოუტანა უპირატესობა. ჩოქბჯენში ქართველი ფალავანი უფრო აქტიური იყო. მან რამდენიმე მომგებიანი ილეთი ჩაუტარა 116-კილოგრამიან გოლიათს და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა! ბ. ანტონსონი ვერცხლის მედალს დასჯერდა მას შემდეგ, რაც დაამარცხა კ. რიჩმონდი.

...ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი არსენ მეკოკიშვილი, უკანასკნელად 1956 წელს გამოვიდა საჭიდაო ხალიჩაზე. ეს იყო მოსკოვში, ხალხთა I სპარტაკიადაზე. არსენამ დამაჯერებლად მოუგო ძარასოვს, პრუტკოვსკის და ვიხრისტიუკს... და ჩემპიონი გახდა.

უბერებელი, ბეჭდაუდებელი გიორგიწმინდელი ფალავანი იმ ხანად უკვე 44 წლისა იყო...

**ოთარ ნოზაძე**

ჩვენებურები

## ევროპის ოთხი რეკორდი ნაზოსია

საქართველოს სროლის ფედერაციამ მიიღო ევროპის მშვილდოსნობის ფედერაციის მორიგი საინფორმაციო ბიულეტენი, რომელშიც დაბეჭდილია კონტინენტის რეკორდების ოფიციალური ცხრილი. ევროპის ცხრა ინდივიდუალური უმაღლესი მიღწევიდან ოთხი ეკუთვნის ჩვენს თა-




ნამემამულეს, სახელოვან სპორტსმენს ნატო ნასარიძეს, რომელიც გამოდის თურქეთის ემლაკ-ბანკის სპორტული კლუბის სახელით. ეს კლუბი მისაბაძი უნდა იყოს ქართველი ბიზნესმენებისათვის.

მ-1 ვარჯიში (70, 60, 50 და 30 მეტრზე სროლა) ნატომ 1354 ქულას მოუყარა თავი.

60 მ — 340 ქულა 360 შესაძლებლიდან

50 მ — 337 ქულა 360 შესაძლებლიდან.

ოლიმპიური ვარჯიშის მეორე ნახევარში, ე.ი. ფინალურ წრეში, რომელიც ტარდება 70 მეტრზე სროლაში ოლიმპიური სისტემით, 171 ქულა 180-დან.

გადავხედოთ გუნდურ რეკორდებს. აქ თურქ ქალებს, რომლებიც ბოლო ხანს ძალზე მომძლავრდნენ, ორი რეკორდი ეკუთვნით.

პირველი — მ-1 ვარჯიში (3X144 ისარი) — 3.985.

მეორე — ფინალური წრე (3X72 ისარი) — 1.963.

ორივე რეკორდი თურქეთის ნაკრებისაა — ნატო ნასარიძე, ელიფ ალტიკაინაკი და ელიფ ექსი.

**რუბენ კაცობაშვილი**

რა ხდება ქვეყანაზე

## ჩემპიონი ჯერაც არ განიკურნა

მსოფლიო რეკორდსმენი და ოლიმპიური ჩემპიონი 100 მეტრზე რბენაში კანადელი დონოვენ ბეილი მთლად არ გამოჯანმრთელებულა.

რეკორდსმენმა, მართალია, მოიგო „გრან პრის“ პირველი სამი სერია თავის მანძილზე, მაგრამ კვლავ უჩივის წელის ტკივილს, რომელიც შარშან შემოდგომაზე ავტოკატასტროფაში დაიზიანა. ბეილი უკმაყოფილოა თავისი შედეგით — 10.19 წამი, სწორედ. ამ შედეგისა და ტკივილების გამო თვლის მორბენალი, რომ ჯერ მთლად არ გამოჯანმრთელებულა. კერძოდ, მას წელის ტკივლი უშლის ხელს საჭირო სიჩქარით რომ „მოწყდეს“ სტარტს.

ხანდახან სპორტის მიტოვებაც გაუელვებს ხოლმე თავში ამის გამო. სპორტსმენი ყოველდღიურად 5 საათს ატარებს მასაჟის მაგიდაზე. 20-კაციანი გუნდი თავს დასტრიალებს მას, რომ ჩვეული ფორმა აღიდგინოს. „იმედი მაქვს მალე აღვიდგენ თავს“, — ამბობს ოლიმპიური ჩემპიონი.

ამასობაში ზანგ ბეილს სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდა — არაბეთის ემირატების ერთ-ერთ დედაქალაქ დოხაში გამოსვლის წინ ბრაზილიაში მას 100 მეტრზე რბენაში აჯობა ჩილელმა სებასტიან კეიტელმა, რომელმაც 10,10 წამში დაფარა მანძილი, ბეილის დრო 10,13 იყო. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა 80000 „სასტარტო“ დოლარი გადაუხადეს. ისე რომ, ბეილს ავადმყოფობის უფლება არა აქვს.

# ნბა ჯორდანმა და პიპენმა...


ჯორდანი თავის სტიქიაშია

**ნბა-ს** ფინალის მეოთხე გეიმში „ჩიკაგო ბულზი“ კიდევ უფრო დაწინაურდა და ერთი მოგებაღა აშორებს მას ნბა-ს მეექვსე ჩემპიონის ტიტულს. „ჩიკაგო“ – „იუტას“ პაექრობის სერიის ანგარიშია 3:1, „ხარების“ სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ ბოლო შეხვედრასაც ჩიკაგოელები შინ ჩაატარებენ. „იუტა ჯაზს“ დიდი ჩავარდნა ჰქონდა მესამე მატჩში, რომელიც 54:96 წააგო და მეოთხე შეხვედრაშიც სტუმრები მდევრის როლში იყვნენ. მეოთხე ნახევრის დასაწყისში გაათანაბრეს ანგარიში, მაგრამ შემდეგ „ბულზმა“ მოუმატა თამაშის ტემპს და დაამარცხა მეტოქე. „ჩიკაგოს“ სნაიპერებმა ჯორდანმა და პიპენმა ორჯერ მეტი ქულა მოუტანეს თავიანთ გუნდს, ვიდრე „ჯაზის“ მელოუნ-ტოქტონის წყვილმა. ძირითადად ამან გადაწყვიტა შეხვედრის ბედი.

მოამზადა **ბია ახალაძემ**


ჯორდანი, როდმანი და პიპენი გამარჯვებას ულოცავენ ერთმანეთ

## რა ხდება ქვეყანაზე

### 233-ის ნაცვლად – 197

ავსტრალიელმა სპორტსმენმა სიუზი მარონიმ 197 კმ 38 საათსა და 33 წუთში გაცურა ოკეანეში.

თავდაპირველად მას მიზნად ჰქონდა 233 კმ-ს დაძლევა, რაც ოკეანეში შორეული გაცურვის აბსოლუტურ რეკორდსმენობას მოუტანდა. მარონი მაინც მიაჩნიათ უხელსაწყოებოდ ოკეანეში ყველაზე დიდი მანძილის გადამცურავად.

### რეკორდები ტურნირზე მცარდება

მსოფლიო მძლეოსნობის ელიტარული შეჯიბრების „გრან პრის“ სერიის წლევანდელი ერთ-ერთი ტურნირი გერმანიის ქალაქ კიოლნში არ ჩატარდება. ასპარეზობის მასპინძლებმა ეს ფინანსური ხელმოკლეობით ახსნეს.

შარშან, ანალოგიურ ტურნირზე, რომელსაც თანამედროვე მძლეოსნობაში საპატიო ადგილი აქვს მიჩნეული, ორი მსოფლიო რეკორდი აღინიშნა. უთანხმოება კი მაშინ წარმოიშვა, როცა გერმანელი ორგანიზატორები სპონსორებთან და ტელეკომპანიებთან დებდნენ კონტრაქტებს. და კიდევ, თურმე კიოლნის შეჯიბრება არაა შესული იააფის მიერ წლეულს გამოცხადებულ „გრან პრის“ სერიის „ოქროს ლიგაში“.

## ინფორმაცია

**ჰოკეი.** ნჰლ-ში გაიმართა სტენლის თასის ფინალური სერიის მეორე შეხვედრა „დეტროიტ რედ ვინგზსა“ და „ვაშინგტონ კაპიტალზს“ შორის. ოვერტაიმში, „სატენ დეზის“ („უცაბედი სიკვდილი“) სისტემით 5:4 მოიგო „რედ ვინგზმა“ და დაწინაურდა სერიაში 2:0. დეტროიტელები სტენლის თასის შარშანდელი მფლობელები არიან და წელსაც ახლოს არიან მიზანთან.

## სპორტი ცისფერ ეკრანზე




**13 ივნისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია: I არხი.*** მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში: ბრაზილია-შოტლანდია (II ტაიმი, განმეორებით, 11.15); მაროკო-ნორვეგია (II ტაიმი, განმ., 12.40); იტალია – ჩილე (II ტაიმი, განმ., 14.15); კამერუნი-ავსტრია (II ტაიმი, განმ.) (15.17); ***I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა, OPT-1, PTP.*** ესპანეთი-ნიგერია (16.20); სამხ. კორეა – მექსიკა (19.20); ჰოლანდია – ბელგია (22.50). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***ევრიკა.*** ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (13.30); „სტუმარი“ (20.50).

**14 ივნისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** პარაგვაი – ბელგია (II ტაიმი, განმ., 11.15); საუდის არაბეთი – დანია (II ტაიმი, განმ., 12.15); საფრანგეთი – სამხ. აფრიკა. (II ტაიმი, განმ., 15.15). ***I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა. OPT, PTP.*** არგენტინა-იაპონია (16.20); იუგოსლავია – ირანი (19.20); იამაიკა – ხორვატია (22.50). ***ევრიკა.*** მსოფლიო ჩემპიონატის დღიური (13.30).

**15 ივნისი, ორშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** არგენტინა-იაპონია (II ტაიმი, განმ., 12.15); იუგოსლავია – ირანი (II ტაიმი, განმ. 13.15); იამაიკა-ხორვატია (II ტაიმი, განმ. 15.15); ინგლისი – ტუნისი (16.20); რუმინეთი – კოლუმბია (19.20); გერმანია – აშშ (22.50) – ***I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა, ORT-1, PTP. კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***НТВ плюс спорт.*** საფეხბურთო კლუბი (8.10; 18.30; 19.30; 23.30), ჭადრაკი (9.10), კალათბურთი (8.30; 15.25; 20.00). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (9.00; 9.30; 10.00; 10.30; 16.00; 19:00; 21.30, 1.00; 3.00). ტრიატლონი (15.00); კრივი (0.00).

**16 ივნისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ინგლისი-ტუნისი II ტაიმი, განმ. 11.15); რუმინეთი-კოლუმბია (II ტაიმი, განმ., 12.30); გერმანია – აშშ (II ტაიმი, განმ., 15.25); შოტლანდია – ნორვეგია (19.20); ბრაზილია – მაროკო (22.50) – ***I არხი, II არხი, იბერია, TV-7, საქართველოს ხმა, ORT-1, PTP. კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (17.45). ***НТВ плюс спорт.*** საფეხბურთო კლუბი (8.15; 18.30). მოტოსპორტი (10.55). ფიგურული სრიალი (15.10). პროფესიული კრივი (19.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი (9.00; 9.30; 10.00; 10.30; 15.00; 17.00; 19.00; 21.30; 22.30; 1.00; 3.00.

## ესეც თქვენი მერვე რეიტინგი

ფიდეს ოფიციალური რეიტინგით, რომელიც 1 ივლისამდე რჩება ძალაში, ალექსეი შიროვი მსოფლიოს მერვე მოჭადრაკეა, თუმცა ახლახან ჩამოყალიბებული „მსოფლიო საჭადრაკო საბჭოს“ სიით მეოთხეა. ის, რომ ერთიც და მეორე შეფასებაც სინამდვილეს ნაკლებად შეესაბამება, დამტკიცდა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში, რომელიც ესპანურ ქალაქ კასორლაში ჩატარდა.

მართლაცდა, აღიარებულ ფავორიტ ვლადიმირ კრამნიკთან მატჩში შიროვს ერთი დღითაც არ გაუშვია ხელიდან ინიციატივა. მეოთხე პარტიაში დაწინაურდა, ზოგჯერ უტევდა, ზოგჯერ მარჯვედ იგერიებდა იერიშს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მეტოქეზე უკეთ თამაშობდა. მეცხრე პარტიამდე კრამნიკს კიდევ რაღაც იმედები ჰქონდა. ამ შეხვედრაში იგი თეთრი ფიგურებით თამაშობდა, კიდევ შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ წააგო და მატჩიც ვადამდე ადრე დამთავრდა, ანგარიშით 5,5:3,5 შიროვის სასარგებლოდ, რომელიც, ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონობის ერთადერთი პრეტენდენტი გახდა.

ახლა მსოფლიო პირველობის მატჩი – შემოდგომაზე ესპანეთშია დაგეგმილი, პრეტენდენტი შიროვი გარი კასპაროვს უნდა შეხვდეს. სტატისტიკოსებს დავესესხებით, აქამდე კასპაროვს მასთან შეხვედრებში მართლაც რომ უდიდესი უპირატესობა აქვს: მოიგო – 7 პარტია, შიროვმა არც ერთი, 6 შეხვედრა კი ყაიმით დასრულდა. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ სულ სხვაა ცალკეული სატურნირო პარტიები და სხვა – 18 პარტიისაგან შემდგარი მატჩი. ისე, რომ...

## უფრთხილდით ზურაბ კაჭირაშვილს!

დიახ. ყველა გაზეთებსა და ჟურნალებს, ვინც კი აწი გამოაცხადებს სპორტულ კონკურსს ან ვიქტორინას, წინასწარ ვაფრთხილებთ — ერთ-ერთი გამარჯვებული აუცილებლად იქნება — თბილისში, დიღმის მასივის V კვარტლის მე-16 კორპუსში მცხოვრები, 33 წლის საავიაციო სახელმწიფო გაერთიანების ინჟინერი ზურაბ კაჭირაშვილი. სწორედ მან გამოიცნო „ლელოს“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ ფოტოზე 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონი. გუნდის ფეხბურთელთა ვინაობა — ტაფარელი, ჟორჟინიო, ალდაირი, მაურო სილვა, მარსიო სანტოსი, ბრანკო, მაზინიო, რომარიო, დუნგა, ბებეტო, ზინიო. გამარჯვებულს გადაეცა „ლელოს“ სამახსოვრო პრიზი. ბოლო წლებში მას უკვე მოგებული აქვს სხვადასხვა სპორტული გამოცემის მიერ მოწყობილი ათამდე კონკურსი!

გარდა ამისა, „ლელოს“ რედაქციამ წამახალისებელი პრიზი გადასცა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტს, 18 წლის ოთარ შარაშენიძეს. კაჭირაშვილისგან განსხვავებით, ეს მისი პირველი გამარჯვებაა კონკურსებში და ჯილდო, იმედია, შემდგომისთვის წაახალისებს.



















## საფეხბურთო კროსვორდი:

**თარაზულად:** 5. „ინტერის“ ფრანგი ნახევარმცველი, 6. 60-იანი წლების თბილისის დინამოელი ნახევარმცველი. 8. ცნობილი ნიგერიელი თავდამსხმელი *(ფოტო),* 12-14. ახლო წარსულში „ნოტინგემისა“ და „ვესტ ჰემის“ ცნობილი შავკანიანი ინგლისელი ფეხბურთელი. 14. ცნობილი ჩეხი მწვრთნელი, 18-19. „დორტმუნდის“ მეკარე, 19. ახლო წარსულში ცნობილი გერმანელი მეკარე, 20. საფრანგეთის ნაკრების მცველი *(ფოტო),* 21. იტალიის ნაკრების ნახევარმცველი, 22. რუმინეთის საფეხბურთო კლუბი, 25. ცნობილი არგენტინელი თავდამსხმელი, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი, 28. შოთა არველაძის თანაგუნდელი ნახევარმცველი, 31. „ლივერპულის“ გერმანელი თავდამსხმელი, 33-34. „იუვენტუსის“ ნახევარმცველი *(ფოტო),* 34. წარსულში ცნობილი არგენტინელი მწვრთნელი, 37-38. 60-იანი წლების ცნობილი არგენტინელი თავდამსხმელი, 38. „დერბი ქაუნთის“ იტალიელი ლეგიონერი, 39. ლეგენდარული ბრაზილიელი გარემარბი, 42. „ლაციოს“ იუგოსლავიელი ნახევარმცველი *(ფოტო),* 43. თავშეუკავებლობით ცნობილი ინგლისელი ნახევარმცველი.

**შვეულად:** 2. 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ბრაზილიელი მცველი, 3. იტალიის ნაკრების მცველი, 5. წარსულში თბილისის „დინამოს“ გამოჩენილი გარემარბი, 7. „შტუტგარტის“ ნიგერიელი ფორვარდი, 9. 70-იანი წლების „იუვენტუსის“ და იტალიის ნაკრების ფეხბურთელი, 10-23. 80-იანი წლების ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი, 11-27. ცნობილი იუგოსლავიელი მწვრთნელი, 13-24. ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი, 15-26. წარსულში გამოჩენილი ჩილელი მწვრთნელი, 16. 80-იანი წლების გფრ-ის ნაკრების მცველი, 17. „აიაქსის“ სამხრეთაფრიკელი თავდამსხმელი *(ფოტო),* 23. „ბარსელონას“ ახალგაზრდა ნახევარმცველი. 24. ჰოლანდიის ნაკრების ნახევარმცველი *(ფოტო),* 26. სტადიონი, სადაც თამაშობს „აიაქსი“, 27. სამგზის მსოფლიო ჩემპიონი ქვეყანა, 29. წარსულში ლეგენდარული ინგლისელი თავდამსხმელი, 30. „ჩელსის“ ფრანგი მცველი, 32. 80-იანი წლების „ლივერპულის“ შოტლანდიელი თავდამსხმელი, ამჟამად მწვრთნელი, 40. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი, 41. „ლაციოს“ მცველი.

**დიაგონალურად:** 1. „ოლიმპიკის“ აფრიკული წარმოშობის ნახევარმცველი, 4. „მილანის“ ვეტერანი ნახევარმცველი, ამჟამად აშშ-ში მოასპარეზე, 35. 20-30-იანი წლების ლენინგრადის „დინამოს“ ცნობილი თავდამსხმელი, 36. „შტუტგარტის“ ბულგარელი ვარსკვლავი.

შეადგინა **დიმა ჯიჯელავამ** (თბილისი)



### „ლელოს“ №44-ში გამოქვეყნებული საფეხბურთო კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. კლინსმანი, 8. ვინტერი, 9. ჰერცოგი, 17. სტაბილე, 23-24 კოენი, 25. სოლდი, 27. კროლი, 30. სიმონე, 31. პერუცი, 37-38. კოული, 39. ივიჩი, 40. ჟაირი, 41. ნანინგა, 50. იულიანო, 51. რედონდო, 53. ბოგოსიანი. **შვეულად:** 1-12. ვიერი, 2-14. მატეო, 8. ვალდანო, 10. იანკერი, 13. კუბილა, 16. სტოიჩკოვი, 20. ჩილავერტი, 21. შტიმაცი, 22. სქოულზი, 25. სანსი, 26. „ოსერი“, 32. ალბერტი, 34. ბილიჩი, 36. მაზინიო, 47. ონეგა, 48. პეცაი. **დიაგონალურად:** 3. სავიო, 4-18 ბეტეგა, 6-19, ნეცერი, 7. კრიპა, 11-28. ჰიდენი, 15-29. ბაკერო, 33-46. ალბერი, 35-49. ლეტიზი, 44. მაინი, 45. ფეოლა, 42-52. ნილისი, 43-54. ნაპოლი.

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო სამძიმარს უცხადებს ამავე სამმართველოს სპორტული სკოლის დირექტორის მოადგილეს ნიკოლოზ კასრაშვილს დედის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა წარსულში გამოჩენილი წყალბურთელი, თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ცნობილი სპორტული ჟურნალისტი

**ვლადიმირ რაშმანჯანი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთ. მამულაშვილი (თბილისი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:
1. კb8!
1. ...მფ:b8 2. კb3 d2 3. კd5. d1ლ 4. c7X, აშამათებს პაიკი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშონიძე